ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა"+
ახალგაზრდა სტალინი
8 ლარი
14 დეკემბრიდან



პარასკევი, 16 დეკემბერი, 2011 №298 (5678) ფასი: 30 თეთრი

# „ალასანია ოპოზიციის მიღწევებს იბრალებს"



## მემარჯვენეები ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ



გვ. 5

## ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის ერთი კარგი ქეიფი 3 მილიონი ჯდება"

გვ. 3

რაზე გაბრაზდა ეკა ხერხეულიძე და რატომ იყო ხმაური პარლამენტში



## ცხინვალში რევოლუცია დაბრუნდა?

გვ. 6



ჯიოევა ხელისუფლებას ვადას 18 დეკემბრამდე აძლევს

## რამაზ ნიკოლაიშვილი: მინდოდა, მწვავე კითხვებზე გამეცა პასუხი

მთავრობას კომფორტული სახლი აუშენეს



გვ. 4



გვ. 6

## „მაესტროს" თანამშრომლები დღეს საპროტესტო აქციას გამართავენ

## ირმა ინაშვილი: „ივანიშვილს „ობიექტივს" არ მივყიდით!"

გვ.2





## „ივანიშვილს რესპუბლიკელები გვერდში არ უნდა დაეყენებინა"

გვ.6

„ახალი თაობა"+
ნობელი
8 ლარი
6 დეკემბრიდან



ISSN 1987-9385

2 „წინააღმდეგობის მოძრაობა" გიორგი ცაგარეიშვილის ვაჟზე თავდასხმას აპროტესტებს

4 თამარ ცინცაბაძე: „არასრული კვების გამო 3 მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა"

6 გრიგოლ ვაშაძე: ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კანონმა შეუწყვიტა

7 ხელისუფლებამ ხალხის დაშინების ახალი ეტაპი დაიწყო

# ირმა ინაშვილი: „ივანიშვილს „ობიექტივს“ არ მივყიდით!“

**7 ოქტომბრის შემდეგ, რაც ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, ისევე, როგორც სახელისუფლებო წრეებში, გაურკვევლობები მედიასაშუალებებშიც დაიწყო. სახელისუფლებო არხებსა და ბეჭდურ გამოცემებში შექმნილი პანიკის მიზეზი გასაგებია და ზედმეტი ახსნა არ სჭირდება, მაგრამ ის მედიასაშუალებები, რომლებიც ასე თუ ისე ამ ნაციონალურ ბაქანალიაში დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის შენარჩუნებას დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ, სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ.**

შორენა გონგლაძე




ძალიან ცუდია, როდესაც გიწევს იმის აღიარება, რომ თბილისის თავზე წამოჭიმული მინის სასახლიდან წამოსულმა ფულის სუნმა როგორც ოპოზიციის ნაწილი, ასევე დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელმძღვანელები წყალობის მომლოდინეთა გრძელ რიგში ჩააყენა. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ივანიშვილის მიერ გავრცელებულმა განცხადებამ, რომ ის დაეხმარებოდა თავისუფალ მედიას და ამ სფეროში სრული ქაოსი შეიტანა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ივანიშვილის მიერ ჩაგდებულ ინტრიგას გაგრძელება აღარ მოჰყვა.

ბუნებრივია, ეს ყველას არ ეხება. რამდენიმემ მაინც შეძლო, შეენარჩუნებინა ჟურნალისტიკის რეალური სახე, თუმცა, იმის ნახვა, თუ როგორ აჭრელდა გაზეთები ივანიშვილის ფოტოებითა და ხოტბაშესხმული, ხატოვანი გამოთქმებით სავსე სტატიებით და როგორ დაემსგავსა ბევრი გამოცემა პარტიულ ბროშურას, ამის ხილვა (სამწუხაროდ, უკვე ძალიან ცოტა ჟურნალისტისთვის) გულის ამრევია.

„ბიძინა ივანიშვილი მზად არის, დაეხმაროს დამოუკიდებელ, თავისუფალ ჟურნალისტიკას და ამით დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების პროცესს. ბიძინა ივანიშვილის მიზანია არა ერთი რომელიმე კონკრეტული მედიასაშუალების ინტერესების დაცვა, არამედ ზოგადად თავისუფალი ქართული ჟურნალისტიკის მხარდაჭერა“, – ივანიშვილის ეს დაპირება ჯერჯერობით დაპირებად რჩება. თავისუფალ ჟურნალისტიკას კი დახმარება ნამდვილად სჭირდება.

ყველას ახსოვს ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის სამზადისი, თუ რამდენი ხანი მიდიოდა იმაზე დავა, გადასცემდა თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი ივანიშვილის პრესკონფერენციას პირდაპირ ეთერში, კულისებს მიღმა დაწყებული გაწევ-გამოწევა უკვე პრესკონფერენციაზე გაგრძელდა, როდესაც საპატიო ადგილებზე წამოსკუპებული ნაციონალური არხის ე.წ. ჟურნალისტები ერთმანეთის მოყოლებით პინგვინებსა და ათას სისულელეზე სვამდნენ შეკითხვებს, ხოლო ბეჭდური მედიის იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ქართული ჟურნალისტიკის სახეს წარმოადგენენ, კითხვის დასმის საშუალება კი არა, სკამებიც კი არ აღმოჩნდა დარბაზში. მოკლედ, ასეა თუ ისე, ნურც ივანიშვილი და ნურც ვინმე სხვა ნუ გაირთულებენ ცხოვრებას იმაზე ნერვიულობით, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი მედია. ამ ყველაფრის პოპულარიზაციას, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ მათ შეუწყვეს ხელი.

ამის მშვენიერი მაგალითია მედია-კავშირი „ობიექტივი“. ობიექტივის ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა არაერთხელ გაასაჯაროვა თავისი დამოკიდებულება ივანიშვილის მიმართ. მან რამდენჯერმე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მედია-კავშირი „ობიექტივი“ მზად იყო, ბიძინა ივანიშვილისთვის დაეთმო საეთერო დრო, თუმცა, დღემდე ინაშვილის მიწვევას გამოხმაურება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, არ დააყოვნა ჭორებმა, რომლებიც ივანიშვილის მიერ ობიექტივის ყიდვას უკავშირდება.

– მედიაკავშირი „ობიექტივი“ არ იყიდება, – ეს განცხადება ირმა ინაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. „ობიექტივი“ ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია:




– ბოლო დროს ჩვენი ორგანიზაციის მისამართით ხშირად გაისმის ხმები „ობიექტივის“ შესაძლო გაყიდვის თაობაზე. შემსყიდველად ბატონი ბიძინა ივანიშვილი სახელდება. ასეთ ვითარებაში თავს ვალდებულად ვთვლით, როგორც საჯარო ორგანიზაციამ და საჯარო პირებმა, საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გავაკეთოთ შემდეგი განმარტება:

ცოტა ხნის წინ ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახელით კონკრეტულმა პირებმა მართლაც შემოგვთავაზეს „ობიექტივის“ გაყიდვა. შესაძლოა, ეს დაინტერესებული პირები მოქმედებდნენ არა ბატონი ბიძინას ინიციატივით, არამედ საკუთარი სახელით. ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ, რომ მედია-კავშირი „ობიექტივი“ არ იყიდება. იგივე გავუმეორეთ ადამიანებს, რომლებიც შეგვხვდნენ და „ობიექტივის“ გაყიდვა შემოგვთავაზეს. კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებთ: მედია-კავშირი „ობიექტივი“ დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ მართული ორგანიზაციაა. ჩვენი ამოცანაა, ქვეყანაში არსებობდეს თავისუფალი სიტყვის ერთი კერა მაინც, რომლის მესაკუთრეებიც არ იქნებიან პოლიტიკური ან ბიზნესჯგუფები, მართვის ბერკეტებს განკარგავენ მხოლოდ ჟურნალისტები, ამიტომ ვიმეორებთ: „ობიექტივი“ არ იყიდებოდა, არ იყიდება და არც მომავალში გაიყიდება. რაც შეეხება გავრცელებულ დეზინფორმაციას, რომ ჩვენ გვაფინანსებს ხან მიხეილ ხუბუტია, ხან პაატა შევარდნაძე, ხან ირაკლი ოქრუაშვილი და ხან ბიძინა ივანიშვილი, მოგახსენებთ, რომ ზემოხსენებულ პირთა შორის არც ერთი არ არის „ობიექტივის“ დამფინანსებელი.

თუმცაღა, თუ ქართველი ბიზნესმენები მოისურვებენ ჩვენს დაფინანსებას, გულწრფელად გეუბნებით, ამ დაფინანსებაზე არათუ უარს ვიტყვით, არამედ საჯაროდ მივიღებთ და გამოვიყენებთ ქვეყანაში თავისუფალი მედიის განვითარებისათვის. „ობიექტივის“ საბანკო ანგარიშები საჯაროა და, სურვილის შემთხვევაში, მედიის მხარდასაჭერად ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია, გაიღოს შემოწირულობა.

დაბოლოს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ცოტა ხნის წინ მე ღია წერილით მივმართე ბატონ ბიძინა ივანიშვილს და სრულიად უსასყიდლოდ შევთავაზე „ობიექტივის“ საეთერო დროის მთელი 50%-ის ათვისება, როგორც მისი ნდობით აღჭურვილი კოლექტივის მიერ, ისე ჩვენი დახმარებით, თუ საჭიროება იქნება.

ეს შეთავაზება ძალაშია, მაგრამ ძალაშია ჩვენი მთავარი პრინციპიც – „ობიექტივი“ არ იყიდება!

იმედია, საზოგადოებისათვის სავსებით გასაგები კომენტარი გავაკეთეთ. გისურვებთ წარმატებებს და ვიტოვებთ იმედს, რომ მომავალში ტელე-რადიო და ინტერნეტ-არხებს, გაზეთებს, საინფორმაციო სააგენტოებს არა პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, არამედ მხოლოდდამხოლოდ თავისუფალი ჟურნალისტები განკარგავენ! „ობიექტივი“ სწორედ ამ მოდელს ქმნის. ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელი, – ნათქვამია „ობიექტივის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოკლედ, თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება, მხარში დაუდგეს თავისუფალ მედიას და ხელი შეუწყოს მის განვითარებას, „ობიექტივის“ კარი ღიაა. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომელიმე ბიზნესმენს, რომელსაც საქართველოში აქვს საკუთარი ბიზნესი, ამის სურვილი გაუჩნდეს. მიზეზის დასახელება ძალიან მარტივია – სააკაშვილის შიში იმისა, რომ ამგვარი „უმსგავსო“ სურვილის აღძვრის შემთხვევაში მის ბიზნესს ერთ მშვენიერ დღეს, როგორც დიდი სააკაშვილი იტყოდა, სოსო მიაკითხავს და წაიყვანს. რაც შეეხება თავისუფალი მედიის დაფინანსების მსურველ ივანიშვილს, ის შემოთავაზებების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. აქცევს თუ არა სიტყვას საქმედ, ეს, ალბათ, უახლოესი მომავლის საქმეა.

## ნიკა გილაური: ქართული კომპანიებისათვის რუსეთის ბაზრის გახსნა პოზიტიური, მაგრამ სარისკო იქნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული კომპანიებისათვის პოზიტიური, თუმცა სარისკო იქნება. მან ამ განცხადებით საქართველოსათვის რეიტინგის ამაღლებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვას უპასუხა.




„რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული კომპანიებისათცვის პოზიტიური იქნება. მაგრამ ეს ბაზარი არა მხოლოდ ქართული კომპანიებისათვის, არამედ ყველასთვის იმდენად არასაიმედოა, რომ მასში თავიდან ბოლომდე გადაშვება, არა მგონია, გამართლებული იყოს. რუსულმა ბაზარმა თავისი არასაიმედოობა ყველას არაერთხელ დაუმტკიცა“, –- აღნიშნა ნიკა გილაურმა და დასძინა, რომ აქედან გამომდინარე, იქ შესვლა სარისკოა.

მედიანიუსი

## „წინააღმდეგობის მოძრაობა“ გიორგი ცაგარეიშვილის ვაჟზე თავდასხმას აპროტესტებს

საერთო-სახალხო „წინააღმდგობის მოძრაობა“ დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის ვაჟზე თავდასხმის ფაქტს ეხმაურება და მომხდარს ზეწოლისა და დაშინების მცდელობად აფასებს.




მოძრაობა მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს, სასწრაფოდ გამოიძიონ მომხდარი ინციდენტი და დასაჯონ დამნაშავეები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატის, გიორგი ცაგარეიშვილის ვაჟი, 19 წლის ზურაბ ცაგარეიშვილი, 14 დეკემბერს, დაახლოებით, 00:30 საათზე, უცნობმა პირებმა საკუთარ სადარბაზოში სცემეს. დაშავებულს ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს. გიორგი ცაგარეიშვილი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

ინტერპრესნიუსი

## დიასპორის მინისტრი სამუშო ვიზიტით თურქეთში იმყოფება

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, მირზა (პაპუნა) დავითაია, თურქეთის ქართველობასთან კონტაქტების გაღრმავებისა და განვითარების მიზნით, სამუშო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფება.

ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრს დაგეგმილი აქვს შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებთან. გუშინ შედგა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ ფარუქ ჩელიქთან და თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის საქართველოსთან მეგობარი ჯგუფის წევრებთან. იგი ჯგუფის თავმჯდომარეს, ჰუსეინ შაჰინს, თავმჯდომარის მოადგილე თულაი ბაბუშჩუს და საპარლამენტო ჯგუფის სხვა წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო-თურქეთის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა ყველა ქვეყნისთვის სანიმუშო მაგალითია. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა რეგიონში სტაბილურობის გარანტია. შეხვედრაზე თურქეთის ნაციონალური ასამბლეის საქართველოსთან მეგობარი ჯგუფის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ თურქეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობარი ჯგუფის შექმნას მხარი 362 დეპუტატმა დაუჭირა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ორ ქვეყანას – თურქეთსა და საქართველოს შორის არსებულ განსაკუთრებულ, მტკიცე ურთიერთობებს. შეხვედრაზე თურქმა პარლამენტარებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არავის აქვს უფლება ხელყოს სხვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

პაპუნა დავითაიამ პარლამენტის წევრებს გააცნო ის რეფორმები, რომლებიც ბოლო წლებში ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის, ტურიზმის, საგადასახადო, მომსახურების თუ სხვა სფეროებში და აღნიშნა, რომ მსგავსი რეფორმები ხელს უწყობს ერთობლივი ბიზნესპროექტებისა და ჩანაფიქრების რეალიზებას, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 2-84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru
**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

## „გურია TV-ს“ მფლობელი სასამართლოს საქმის გაყალბებაში ადანაშაულებს

ტელეკომპანია „გურია TV-ს“ მფლობელი უზენაეს სასამართლოს საქმის გაყალბებაში ადანაშაულებს და პროკურატურისაგან საქმის გამოძიებას ითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ტელეკომპანიის დამფუძნებლის მერაბ სიორიძის ადვოკატმა თედო კობახიძემ განაცხადა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ტელეკომპანიის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი რუსეთის მოქალაქე მარინა ვასილიევა გახდა, რომელსაც ტელეკომპანიის დამფუძნებელთან 1991 წელს თანამშრომლობის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. ხელშეკრულების თანახმად ვასილიევამ ტელეკომპანიის განვითარების საქმეში 10 მილიონი რუბლი



ჩადო და ტელეკომპანიის 50 პროცენტის მფლობელი გახდა.

მისი თქმით, ვასილიევამ 2003 წელს სიორიძე თანხის მითვისებაში დაადანაშაულა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც ზიანის ანაზღაურებას – 308 756 აშშ დოლარს ითხოვდა. გარდა ამისა, მისი მოთხოვნა იყო მერაბ სიორიძესთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება.

უზენაეს სასამართლოს ვასილიევას მიერ 2010 წლის მაისში შეტანილი სარჩელი კანონით დადგენილ 6 თვეში უნდა განეხილა, თუმცა საქმის განხილვა არ მომხდარა.

როგორც ტელევიზიის უკვე ყოფილი პროდუსერი ელდარ მდინარაძე აცხადებს, ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც მან ტელევიზიის ფეხზე დაყენება გადაწყვიტა. მისი ტელეკომპანიაში მისვლის შემდეგ კი უზენაესმა სასამართლომ 18 თვის დაგვიანებით განაახლა პროცესი და რამდენიმე დღეში საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვიტა ისე, რომ მეორე მხარეს მოსარჩელესთან მორიგების საშუალება არ მისცა. მოსარჩელემ კი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში ტელეკომპანია ვინმე ვლადიმერ საბაძეს მიჰყიდა. რა თანხებით და ვისი მხარდაჭერით აპირებდა მდინარაძე ტელეკომპანიის ფეხზე დაყენებას არ აკონკრეტებს, თუმცა აცხადებს, რომ ის ამ მიზნის განსახორციელებლად ნებისმიერი პირისაგან მიიღებდა დაფინანსებას.

ტელეკომპანიის დამფუძნებლის ადვოკატი და პროდუსერი მიიჩნევენ, რომ უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხელისუფლების ხელი ურევია, რადგან მას არ სურს ქვეყნის რეგიონში მისგან დამოუკიდებელმა ტელევიზიამ იარსებოს.

„ხელისუფლების ინტერესი იკვეთება იმაში, რომ წილი გადაცემულიყო მარინა ვასილიევა ხარაბაძეს და ჩვენ არ მიგვეცა მისთვის ის თანხა, რასაც ის ითხოვდა. ამით უზენაესმა სასამართლომ ჩვენ მოგვისპო რეალურად იმის გზა, რომ მოსარჩელე მხარესთან მოვრიგებულიყავით“, – განაცხადა ადვოკატმა და დასძინა, რომ სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმე არის გაყალბებული.

მისივე თქმით, კონკრეტული მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნით ხვალვე მიმართავს პროკურატურას.

„გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ უზენაესი სასმართლოს მხრიდან ხდებოდა და დღემდე მიმდინარეობს საქმის გაყალბება, აღნიშნულთან დაკავშირებით მოვითხოვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას“, – აღნიშნა კობახიძემ.

ცნობისათვის: ტელეკომპანია „გურია TV“ 100ვატიანი სიძლიერის გადამცემის საშუალებით მაუწყებლობს, რომლის ანძაც ჯუმითის მთაზეა დამონტაჟებული. ანძის მოუხერხებელი მდებარეობის გამო ტელევიზიის დაფარვის ზონას წარმოადგენს მხოლოდ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩხოროწყუს ნაწილი.

მედიანიუსი

# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის ერთი კარგი ქეიფი 3 მილიონი ჯდება“

შალვა ჯოხაძე

**ყველანაირი გამოკითხვებით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობის ნომერ პირველ პრობლემად სოციალური პრობლემები რჩება. თუმცა, რა საჭიროა სოციოლოგიური გამოკითხვები, ამას ხომ ისედაც ყველა ნათლად ხედავს. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სოციალურ პრობლემებზე გადაერთო. ხელისუფლებამ კარგად დავიწყებული ძველი — ვაუჩერები გაიხსენა და სოფლად მცხოვრებთათვის 30–30–ლარიან ფასიან ქაღალდებს არიგებს. ამ ე.წ. სასოფლო–სამეურნეო ვაუჩერებს ისე აპიარებენ, თითქოს ამ მათხოვრული თანხის მოსახლეობისათვის გადაგდებით სოფელიც აშენდება და ქალაქიც.**

სოციალურ საკითხებზე პარლამენტშიც ბევრს საუბრობენ. აქ ოპოზიციონერი დეპუტატები აქტიურობენ. გუშინ დეპუტატები რამდენიმე ასეთ პრობლემატურ საკითხს შეეხნენ.

„ქართული დასის“ ლიდერი, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და პენსიონერებისთვის ჯარიმების, საურავებისა და დაგროვილი კომუნალური გადასახადების ჩამოწერას ითხოვს.

ლაპარაკია ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, ელექტროენერგიის დავალიანებების, „თელასის“, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ დაკისრებულ ჯარიმებზე, მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობის დროს და ა.შ. შემთხვევების დროს დაკისრებული ჯარიმა-საურავების გაუქმებაზე.

როგორც ბაღათურიამ განაცხადა, ეს საკითხი ძალზე აქტუალურია, რადგან საქართველოს მოსახლეობას ჯარიმიდან ჯარიმამდე, ქვითრიდან ქვითრამდე და ვაუჩერიდან ვაუჩერამდე უწევს ცხოვრება. ხელისუფლების წარმომადგენლები და თავად პრეზიდენტი კი ამ დროს კონცერტიდან კონცერტამდე, დისკოთეკიდან დისკოთეკამდე და ქეიფიდან ქეიფამდე ცხოვრობენ.

– ჩვენ შევიმუშავეთ კანონის პროექტი, რომელიც სოციალურად დაუცველი ფენებისა და პენსიონერებისთვის ჯარიმების, საურავებისა და დაგროვილი კომუნალური გადასახადების ჩამოწერას ითვალისწინებს, რომლის გატანასაც უახლოეს სესიაზე ვაპირებთ, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ბაღათურიას ინფორმაციით, პროექტის ინიცირება პარლამენტში უკვე მოხდა, „ქართული დასი“ მის დარეგისტრირებას 16 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე ოფიციალურად მოითხოვს.

დეპუტატის ინფორმაციით, ამგვარ შეღავათს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი 900 000 პირი, 600 000 სოციალურად დაუცველი ოჯახი და 500 000 პენსიონერი საჭიროებს.

– საერთო ხარჯი, რაც სახელმწიფომ შეიძლება გაიღოს, 3 მილიონ ლარამდეა, რაც პრეზიდენტისთვის ერთი კარგი ქეიფი ჯდება. ამიტომ მოვუწოდებთ სააკაშვილს, ერთ კონცერტს ან ქეიფს შეელიოს და მოსახლეობას მდგომარეობა შეუმსუბუქოს, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ხელისუფლებისადმი მოთხოვნები „ქრისტიან-დემოკრატებსაც“ აქვთ. ისინი ითხოვენ, რომ 2012 წლიდან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვმა მიიღოს. დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა, რომ ლაპარაკია დაახლოებით 3 000 ასეთ ბავშვზე, რომლებიც საქართველოს რეგიონებში ცხოვრობენ და რომელთა დაზღვევასაც მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა არ ითვალისწინებს.

– „ქრისტიან-დემოკრატები“ მივესალმებით მთავრობის გადაწყვეტილებას, მომავალი წლიდან დააზღვიოს პენსიონერები, მცირეწლოვანი ბავშვები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ჩამონათვალში აუცილებლად უნდა მოხვდნენ შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებიც 5-დან 18 წლამდე, რადგან მათ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მხრივ ურთულესი მდგომარეობა აქვთ. მათი დაზღვევისათვის მომავალი წლის ბიუჯეტიდან დამატებით მხოლოდ 180 000 ლარის გამოყოფა გახდება საჭირო. ეს არ არის ის თანხა, რომლის დახარჯვის ფუფუნებასაც სახელმწიფო თავს ვერ მისცემს, – აღნიშნა მაგდა ანიკაშვილმა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ მოუწოდებენ ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ის სირთულეები, რომელთა წინაშეც დგანან დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები რეგიონებში.

– მათ აქვთ პრობლემები გარემოს ხელმისაწვდომობის, განათლების, სამედიცინო მომსახურების კუთხით. ცხადია, რომ ჯანმრთელობის დაზღვევა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციებს გავაგრძელბთ როგორც პარლამენტში ასევე მთავრობის წარმომადგენლებთანაც და ჩვენ მოვითხოვთ რომ სადაზღვეო პაკეტში გათვლისწინებული იყოს როგორც საჭირო მედიკამენტების ანაზღაურება, ასევე სახლში მომსახურების სამსახურიც, – აღნიშნა ანიკაშვილმა.

ხელისუფლებას კი, გარდა ჩვენ მიერ ნახსენები ვაუჩერებისა, არ ავიწყდება თავისი 10 პუნქტიანი გეგმაც. გუშინ პარლამენტში ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე ფინანსთა მინისტრს მოუსმინეს. მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ საბჭოს წევრებთან კი მთავრობის 10 პუნქტიან გეგმასა და ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების საკითხებზე ისაუბრა.

მინისტრის ინფორმაციით, მაკროეკონომიკური სტაბილურობა ქვეყანაში სოციალური დონის უზრუნველყოფას განსაზღვრავს.

– საერთაშორისო მასშტაბით მაკროეკონომიკის ყველაზე კარგ ინდიკატორს სარეიტინგო სააგენტოების მიერ ქვეყნისთვის მინიჭებული კატეგორიები წარმოადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს რეიტინგი „ბი პლუს“ კატეგორიიდან „2 ბი“ დონეზე გაიზარდა, – აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

მისივე განცხადებით, გაზრდილი სარეიტინგო კატეგორიის თანახმად, დონორები და კომერციული ბანკები საქართველოსთვის მეტ ინვესტიციებს და დაბალპროცენტიან სესხებს გასცემენ. მინისტრმა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე და სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ პრიორიტეტებზეც ისაუბრა. მისი ინფორმაციით, წარმატებული რეფორმების შედეგად ყოველწლიურად მცირდება საბიუჯეტო დეფიციტი და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდის ტენდენცია შეინიშნება.

ანტიკრიზისულ საბჭოს სხდომაზე დიმიტრი გვინდაძემ უკვე განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და 2012 წლისთვის ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტებზე ისაუბრა.

– ეკონომიკური ზრდის დინამიკის გაგრძელება, ეკონომიკური სტიმულირებისთვის ფისკალური კონსოლიდაცია და კერძო სექტორისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა მომავალი წლისთვის ჩვენ მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა პრეზენტაციის დასრულებისას.

– დიმიტრი გვინდაძემ ანტიკრიზისული საბჭოს წევრების შეკითხვებსაც უპასუხა და ცალკეულ საკითხებზე განმარტებებიც გააკეთა. სხდომის დასასრულ, ფინანსთა სამინისტროს და მინისტრის მუშაობა საბჭოს მიერ დადებითად შეფასდა, – აცხადებენ საქართველოს პარლამენტში. აი, ასეთი მშვიდი, იდილიური და დამაიმედებელი იყო მინისტრის პრეზენტაცია. თუმცა, გუშინდელ დღეს პარლამენტში სულ ასე მშვიდობიანად არ ჩაუვლია. ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე დევნილთა სტატუსის შესახებ კანონპროექტის განხილვას ხმაური მოჰყვა.

## რაზე გაბრაზდა ეკა ხერხეულიძე და რატომ იყო ხმაური პარლამენტში



ჯონდი ბაღათურია

კანონპროექტის მიხედვით, დევნილის სტატუსი მხოლოდ იმ პირებს ექნებათ, ვინც ოკუპირებული ტერიტორიებიდან არიან გადაადგილებულნი.

– ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები.

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის აღნიშნული კანონის სახელწოდებაში და ის შემდეგი რედაქციით ყალიბდება: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

ახალი რედაქციით ყალიბდება აგრეთვე იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ცნება. კანონპროექტი ასევე არეგულირებს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესთან, დევნილის უფლებებთან და მოვალეობებთან, დევნილის შემწეობის შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის საფუძვლებთან, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილთა დაცვასა და უზრუნველყოფასთან, დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონპროექტის მომზადება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ აუცილებელი გახდა 1996 წელს მიღებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მთელი რიგი საკითხების სამართლებრივი დახვეწა, იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა და საქართველოში არსებული დღევანდელი რეალობის ასახვა, – აცხადებენ საქართველოს პარლამენტში.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ეჭვობს, რომ ამ ცვლილების განხორციელების შემდეგ, ბუფერული ზონებიდან დევნილები სტატუსის და შესაბამისი დახმარებების გარეშე დარჩებიან.

სხდომაზე დევნილებიც იმყოფებოდნენ, რომელთაც კანონის ამოქმედების შემდეგ საკუტარი ბედი აინტერსებდათ.

ახალგაზრდა იურისტები აცხადებენ, რომ წარმოებაში აქვთ ბევრი ისეთი ოჯახის საქმე, რომლებიც ადმინისტრაციული საზღვრის იქით ცხოვრობენ. მათ არც საკუთარ სახლში დაბრუნების საშუალება ეძლევათ და არც დევნილის სტატუსი აქვთ.

ახალგაზრდა იურისტების თქმით, სასამართლოშია 10 საქმე, რომელიც 30 ოჯახს ეხება. ასევე, ორ საქმეზე საია-მ საქმე მოიგო, თუმცა საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილება ველარ შესრულდება.

საია-ს პოზიციით, სახელმწიფო დევნილის სტატუსის მქონე პირთა მიმართაც არ ასრულებს ვალდებულებებს და სტატუსის არმქონე იძულებით გადაადგილებულები სრულიად უყურადღებოდ დარჩებიან.

ახალგაზრდა იურისტებთან და დევნილებთან დავა ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულთა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა თამარ მარტიაშვილმა, ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ემზარ გელაშვილმა და სხდომის წამყვანმა ეკა ხერხეულიძემ გააგრძელეს, რომელთა მტკიცებით, სახელმწიფო დევნილების მიმართ ყველა ვალდებულებას ასრულებს და არც ასეთი სტატუსის არმქონე პირები დარჩებიან უყურადღებოდ.

საბოლოოდ, დავა იმით დასრულდა, რომ ეკა ხერხეულიძემ ახალგაზრდა იურისტებს შეახსენა, რომ კომიტეტის სხდომაზე მათი სოლო გამოსვლა არ იყო.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი სტატუსის პრობლემის ფრაქციის ფორმატში განხილვის ინიციტიავით გამოვიდა და საია-ს შესთავაზა, რომ ბუფერული ზონებიდან დევნილებისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებაზე, პროექტის მეორე მოსმენით სესიაზე განხილვამდე იმსჯელონ.

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა კი ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, რომ იძულებით გადაადგილებულებთან მიმართებაში ძალიან ბევრი პროექტი მუშაობს, მათ შორის დონორებისა და დევნილები, რომლებიც კონკრეტულად ოკუპირებული ტერიტორიებიდან არ არიან გადაადგილებულებულნი, ამ პროექტებში ძველებურად იქნებიან ჩართულნი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სხვა საკითხებზეც იმსჯელეს. საუბარი იყო „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე – ის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონით, თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს. ის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შედის: „სისხლის სამართლის კოდექსში“, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონში.

კანონპოექტი მიხედვით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შეიქმნება, სადაც სასამართლოს მიერ თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულება განხორციელდება. ამავე დაწესებულებაში ასევე განხორციელდება პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულისათვის დარჩენილი სასჯელის თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

საკანონმდებლო ინიციატივა ასეთი ტიპის სამართლებრივი აქტების აღსრულების პროცედურის და ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებას ითვალისწინებს.

შედით საიტზე atb.ge



# რამაზ ნიკოლაიშვილი: მინდოდა, მწვავე კითხვებზე გამეცა პასუხი

## მთავრობას კომფორტული სახლი აუშენეს

თეა მარხვაიძე

**დეპუტატები ახალ პარლამენტში გადასასვლელად ემზადებიან. მათი ნება რომ იყოს, თბილისიდან ფეხს არ მოიცვლიდნენ. მაგრამ, რადგან ქვეყნის მაღალმა ასე ისურვა, ისინიც ემზადებიან სავარდო და სამაისო ქალაქში გადასასვლელად. სანუნუნოდ საქმე, წესით, არ უნდა ჰქონდეთ. ხელფასი იმდენი აქვთ, გოგისვანიძეებში და ბიჯენტიას საქაბაბეში გვარიანად გაატარებენ დროს. ამის გარდა, მათ ახალ შენობაში სერიოზული კომფორტი ელოდებათ. დისკომფორტს არც აქ უჩივიან, მაგრამ იქ სულ სხვა დონე ყოფილა.**


რამაზ ნიკოლაიშვილი

ამ სხვა დონეზე გუშინ დეპუტატებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ესაუბრა.

მინისტრი რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის სხდომაზე იყო მიწვეული.

მინისტრმა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ წყალმომარაგების სისტემა სამარცხვინო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, თუმცა, 2011 წელს საქართველოს რეგიონებისათვის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი სამუშაოები გატარდა, რომელთა შედეგადაც რამდენიმე ათეული მუნიციპალური ცენტრი ყოველდღიურ წყალმომარაგებაზე გადავიდა.

– გვინდა, 2012 გარდატეხის წელი იყოს და ყველა დიდ ქალაქში 24-საათიანი წყალმომარაგება გვქონდეს, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა კომიტეტის სხდომაზე.

მინისტრმა ბაკურიანის წყალსადენის ახალ გამწმენდ ნაგებობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის უნიკალურია და ანალოგი მთელ საქართველოში არ მოეპოვება.

ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მაგისტრალი ექსპლუატაციაში 2013 წელს შევა, თუმცა, მანამდე პროექტი მსოფლიოს 100 მნიშვნელოვან პროექტს შორის მოხვდა.

პარლამენტში სტუმრობისას მინისტრმა მიმდინარე წელს მიღწეულ წარმატებებსა და მომავალ პროექტებზე ისაუბრა.

მინისტრის ინფორმაციით, სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე 245 კილომეტრს შეადგენს, საიდანაც 175 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

მისი თქმით, პროექტის განხორციელებაში საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი მონაწილეობენ და ქვეყანამ 200 მილიონი დოლარი უკვე აითვისა.

– სამუშაოების დიდ ნაწილს 2012 წლისათვის დავასრულებთ და 2013 წლისათვის ეს იქნება გზა ევროპაში, – აღნიშნა მინისტრმა.

საკომიტეტო მოსმენაზე მინისტრმა, ბუნებრივია, ბევრი ისაუბრა გზებზე. ეს გასაკვირი არც არის. გზა მისი სავიზიტო ბარათია. ის მოსახლეობისთვის დღემდე ქვეყნის პირველ მეგზევედ რჩება.

გზების მკეთებელი ნიკოლაიშვილი თავისი უწყების მუშაობით კმაყოფილია და, როგორც ჩანს, ჩვენებურები საქმეში უცხოელებსაც მოსწონებიათ.

რამაზ ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაში ქართული კომპანიების გამოცდილების გაზიარებას არაერთი ქვეყანა ითხოვს.

– უწყებას სხვადასხვა ქვეყნიდან თხოვნით მიმართავენ, რომ ქართული კომპანიების გამოცდილება შესაბამის ტენდერებში გამოიყენონ. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში წელიწადში 1-2 საერთაშორისო ტენდერი ტარდება. ჩვენ კი ყოველწლიურად 200 საერთაშორისო ტენდერზე ვმუშაობთ. ერთ-ერთ წარმატებული პროექტი ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის პროექტია. მისი სიგრძე 139 კილომეტრს შეადგენს, რომლის დიდ ნაწილზეც ბეტონია დაგებული. სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა ოთხმა ქართულმა კომპანიამ მიიღო. მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის სპეციალისტები მისი ხარისხით შოკირებულნი დარჩნენ. უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად არის დაცული. აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა 2011 წლის ერთ-ერთი გამოწვევა იყო, – დასძინა მინისტრმა.

კომიტეტის სხდომაზე შეკრებილ კანონმდებლებს, ბუნებრივია, აინტერესებთ, როგორ შენდება ახალი პარლამენტი. მინისტრი მშენებლობის ტემპით კმაყოფილია, მაგრამ ვილაცები მას ამ საქმის კეთების დროს ნერვებს უშლიან.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით, მას ქუთაისის პარლამენტის შენობის არქიტექტორი ნერვებს უშლის, თუმცა, როცა მშენებლობა დასრულდება, ახალი საკანონმდებლო ორგანო ყველაზე მაგარი შენობა იქნება.

– ბრიუსელსა და სტრასბურგში ევროპარლამენტის შენობები ვნახე, თუმცა, ქუთაისში მშენებარე პარლამენტი უფრო მაგარი პროექტია. მთავრობის სახლის მშენებლობა უკვე დასრულდა, რომლის მსგავსი კომფორტის თვალსაზრისით საქართველოში არც ერთი შენობა არ არის. რაც შეეხება პარლამენტის შენობას, მართალია, არქიტექტორი ნერვებს გვიშლის, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ სამუშაო პირობების კუთხით ძალიან კომფორტული იქნება, – განაცხადა მინისტრმა.

დეპუტატებმა ამ ამბის შემდეგ ძალიან გაიხარეს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც მომავალ პარლამენტში მოხვედრის შანსები აქვს.

ისე, საინტერესოა, ახალ პარლამენტში სხვისი პულტების გამოყენების შანსები თუ იქნება. ამის გარეშე ქართული პარლამენტი ხომ წარმოუდგენელია.

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის გუშინდელმა სხდომამ ისეთ ტკბილ ჟღურტულში ჩაიარა, რომ რამაზ ნიკოლაიშვილმა მასთვის დასმული კრიტიკული შეკითხვები ინატრა.

როგორც მან წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, იგი მზად იყო, ყველა კრიტიკული შენიშვნისათვის ეპასუხა.

კომიტეტის სხდომას ოპოზიციონერი დეპუტატები რატომღაც არ ესწრებოდნენ. ისინი იქ რომ ყოფილიყვნენ კრიტიკული კითხვები აუცილებლად იქნებოდა.

– კარგი იქნებოდა, სხდომაზე ბევრი ხალხი ყოფილიყო და კრიტიკული კითხვები დასმულიყო, – აღნიშნა რამაზ ნიკოლაიშვილმა.

მან სხდომის მონაწილეებს 2011 წელს შესრულებული სამუშაოები და 2012 წლის გეგმები გააცნო და საკუთარი უწყების წარმომადგენელთა პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობაც შეაქო.

– ჩემი თანამშრომლები არ არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ შავ მანქანებში სხედან და ლამაზი სათვალეები უკეთიათ, – აღნიშნა რამაზ ნიკოლაიშვილმა. და მისი უწყების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის ადგილზე გასაცნობად სხდომაზე მყოფი და ყველა დაინტერესებული ადამიანი მიიწვია.

---

## რის ხარჯზე მცირდება საქართველოში უმუშევრობა

# თამარ ცინცაბაძე: „არასრული კვების გამო 3 მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა“

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლება გვპირდება, რომ მომავალ წელს საქართველოს კიდევ უფრო დიდი წარმატებები ელოდება. ამტკიცებენ, რომ მოსახლეობაც უფრო მეტად იქნება სოციალურად დაცული. ამის კი არც ხალხს, არც ოპოზიციას და არც ექსპერტებს არ სჯერათ.**


თამარ ცინცაბაძე

ეკონომიკური ექსპერტი, დემოკრატიული მოძრაობის წევრი თამარ ცინცაბაძე შეშფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლებამ სოციალური სფეროს დაფინანსების გაზრდაზე უარი თქვა. ცინცაძეს არც ახალი საავადმყოფოების სჯერა და აინტერესებს, რატომ საუბრობს ხელისუფლება ეკონომიკურ ზრდაზე მაშინ, როცა ქვეყანაში ბავშვები არასრულფასოვანი კვების გამო იღუპებიან.

რა საფრთხე ემუქრება ჯანდაცვის სისტემას, როგორ მცირდება უმუშევართა რიცხვი და რატომ იღუპებიან ბავშვები არასრული კვების გამო, ამის შესახებ თამარ ცინცაბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თამარ ცინცაბაძე:**

– ალბათ ძნელი დასაჯერებელია, რომ 21-ე საუკუნეში ბავშვები არასრულფასოვანი კვების გამო იღუპებიან. სამწუხაროდ, ასეთი რამეები ხდება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება. სოფელ ვარიანში ერთ ოჯახს გარდაეცვალა 3 მცირეწლოვანი ბავშვი. ბავშვების დაღუპვის მიზეზი იყო არასრული კვება. ეს არის შემზარავი ფაქტები, რომელზეც ყველამ უნდა ამოვიღოთ ხმა, მით უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა არის აყვავებული და განვითარებული. თურმე ბევრ ევროპულ ქვეყანას ვუსწრებთ. ძალიან მაინტერესებს, რომელ ევროპულ ქვეყანაში ხდება ისე, როცა ადამიანები საკუთარი შვილების გამოკვებას ვერ ახერხებენ.

***– ევროპაშიც უჭირთ ადამიანებს.***

– როგორ არ უჭირთ. მათ სახელმწიფო ეხმარებათ. იქ ბავშვები არასრული კვების გამო არ ეღუპებათ. ჩვენ რადგან პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ ევროპულ ქვეყნებს ვუსწრებთ, მაშინ ჩვენთან ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდეს. გასულ წელს საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს კვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველოში არასრული კვების საშუალო დონე ფიქსირდება.

***– ეს რას ნიშნავს, ქალბატონო თამარ?***

– იმას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ნახევრად მშიერია.

***– ამაში ხელისუფლების წარმომადგენლები ნამდვილად არ დაგეთანხმებიან.***

– ნუ დამეთანხმებიან. გავიდნენ ქუჩაში და ნახონ, რა ხდება. გზაჯვარედინი მაჩვენონ სადმე თბილისში, სადაც ხელგაწვდილი ბავშვი ან მათხოვარი არ დგას. რამდენიმე წლის წინ ასეთი რამე ნამდვილად არ ხდებოდა. დღეს კი ხალხი შიმშილობს. ადამიანები დღეს ძირითადად იმაზე ფიქრობენ, შიმშილით არ დაეხოცონ შვილები. ამ დროს ხელისუფლებამ ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროზე იმავე ოდენობის თანხები გამოყო, რამდენიც შარშან. ამ დროს გაიზარდა ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსება. კატასტროფულ მდგომარეობაშია ჯანდაცვის სისტემა.

***– ხელისუფლება არც ამაში დაგეთანხმებათ. სხვა თუ არაფერი, პრეზიდენტი ყოველდღე ხსნის ახალ-ახალ საავადმყოფოებს.***

– კი ბატონო, ხსნის საავადმყოფოებს. რამდენიმე დღის წინ დიდი ზარ-ზეიმით გვაუწყეს, რომ ჯანდაცვის სისტემას ქმნიან. როგორც ჩანს, ამათი ჯანდაცვის სისტემა არის მხოლოდ შენობა და იქ განთავსებული სამედიცინო აპარატურა. ეს არ არის ჯანდაცვის სისტემა. გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი საავადმყოფო არ მოხსნის იმ პრობლემებს, რომლებიც ჯანდაცვის კუთხით დგას. მათ უნდა დახვდეს კვალიფიციური მედპერსონალი. ცოტა ხანში ჩვენ შესაძლოა არ გვყავდეს კადრი, რომელიც ხარისხიანი ჯანდაცვის მიწოდებას შეძლებს.

***– გინდათ თქვათ, რომ ექიმების დეფიციტია მოსალოდნელი?***

– ექიმები შესაძლოა მრავლად იყვნენ, მაგრამ მათ არ ექნებათ კვალიფიციური განათლება. ექიმისთვის საჭირო საბაზისო განათლება არ არის და არც შემდგომი უწყვეტი განათლება დგას მაღალ დონეზე. არაკვალიფიციური ექიმი კი საშიშია.

***– მოდით, ისევ ბავშვების დაღუპვის თემას დავუბრუნდეთ. ოჯახი, სადაც 3 ბავშვი დაიღუპა, არანაირ სოციალურ დახმარებას არ იღებდა?***

– ალბათ, იღებდა, მაგრამ რაში ეყოფოდათ ეს თანხა, ჩვენს ქვეყანაში თვეში საშუალო შემოსავალი არის 103 ლარი. ხელისუფლების მეთოდებით დათვლილი საარსებო მინიმუმი 103 ლარს გაცილებით აღემატება. საკმარისი არც ეს თანხაა. მთელი უბედურება ისაა, რომ ამ მინიმუმსაც კი არ უტოლდება არც პენსია და არც საშუალო შემოსავალი. დღეს ადამიანებს არსებობის საშუალებაც კი არა აქვთ. ღირსეულ ცხოვრებაზე არავინ აღარ საუბრობს. ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს არსებობის საშუალებაც კი არა აქვს.

***– მოსახლეობის რა რაოდენობა ცხოვრობს ასეთ პირობებში?***

– ძალიან ბევრია ასეთ დღეში, ჩვენი მოსახლეობის 40% მიიჩნევს, რომ ისინი სოციალურად სრულიად დაუცველები არიან. ხელისუფლება ვალდებულია, ამ ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება მისცეს.

***– იქნებ ამ ბიუჯეტით ამის გაკეთება შეუძლებელია.***

– არსებული ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა. უბრალოდ, უნდა მოხდეს ამ თანხების შესაბამისი გადანაწილება. ასევე საჭიროა უკვე გადანაწილებული თანხების ნორმალური მართვა. თუ ასე მოხდა, გარწმუნებთ, რომ სოციალური მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება პიარია და მეტი არაფერი. ხელისუფლება, სამწუხაროდ, არაფერს არ აკეთებს ისეთი პრობლემის მოსაგვარებლად, როგორიც უმუშევრობაა.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ უმუშევრობის დონე საქართველოში შემცირდა.***

– უმუშევართა რაოდენობა საქართველოში მართლაც შემცირდა. მაგრამ, იცით, რის ხარჯზე? უმუშევარი ხალხი ტოვებს ქვეყანას და მიდის საზღვარგარეთ.

***– ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ საზღვარგარეთ გასული ქართველები უკან ბრუნდებიან.***

– ეს არის სიცრუე. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. თუ უკან ბრუნდება ხალხი, მაშინ, რატომ იცლება სოფლები? საქართველოს უმთავრეს რეგიონებში ფიქსირდება უარყოფითი ბუნებრივი მატება. 2002 წლის მონაცემებით, 162 მაღალმთიანი სოფელია დაცარიელებული. იმის მერე კიდევ რამდენი სოფელი დაიცლებოდა, წარმომიდგენია. ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის წყალობით სოფლები ცარიელდება. ხალხი სარჩოს საძებნელად საზღვარგარეთ გარბის. ქვეყანა ხალხისგან დაიცალა. ხელისუფლება კი ურცხვად გაიძახის, რომ თურმე ევროპულ ქვეყნებს გავუსწარით. ეს ხელისუფლება არაფრის გამოსწორებას არ აპირებს. გამოსავალი ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლაა. მე იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება და მჯერა, ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ხალხმა ღირსეულად იცხოვროს.

# „ალასანია ოპოზიციის მიღწევებს იბრალებს"

## მემარჯვენეები ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ

შორენა კოწოწაშვილი

**ახალი მემარჯვენეები ირაკლი ალასანიას განცხადებებს უწუნებენ და მას ღია კარის მტვრევაში ადანაშაულებენ. გამყოლიძის გუნდში მიაჩნიათ, რომ ალასანიამ სხვის დამსახურებებს პატივი უნდა სცეს და საკუთარ დამსახურებად არ გამოაცხადოს.**

ახლების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ნაკლებად უნდა ელოდეს პუტინისგან ძალაუფლების შენარჩუნებაში დახმარებას. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ის ამერიკული პროექტი არ არის.

დანიშნავს სააკაშვილი ახალ არჩევნებს? — ამ თემაზე გავესაუბრეთ „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ **მანანა ნაჭყებიას.**

***— ქალბატონო მანანა, იმ ფონზე, როცა უახლოეს თვეებში სააკაშვილის, როგორც ქვეყნის ლიდერის ბედი წყდება, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, სააკაშვილმა დასაყრდენი რუსეთში მოძებნოს? ითქვა, რომ მან ამერიკის და დასავლეთის მხარდაჭერა დიდი ხანია დაკარგა.***

— არა მგონია, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ მიხეილ სააკაშვილს პუტინის დახმარება დასჭირდეს, ან ამ დახმარებაზე პუტინი წამოვიდეს. მსოფლიოში განვითარებული მოვლენები ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს, რომ ძალიან დაიძაბა ურთიერთობა დასავლეთსა და რუსეთს შორის. პუტინის გამოჩენა ხელახლა ასპარეზზე პრეზიდენტის რანგში და მე მგონი, ეჭვი არავის ეპარება, რომ პუტინი პრეზიდენტი გახდება, მიუხედავად მოსკოვში განვითარებული მოვლენებისა, ბუნებრივია, დასავლეთს აფიქრებს იმაზე, რომ მართლაც შეიძლება პუტინმა დაიწყოს ყოფილი საბჭოთა კავშირის მსგავსი წარმონაქმნის შექმნაზე ფიქრი. ანუ დაიწყოს საბჭოთა კავშირის რეანიმაციაზე ფიქრი. აქედან გამომდინარე, თქვენ ხედავთ, რომ დღითიდღე რუსეთის მიმართ დასავლეთის და აშშ-ის დამოკიდებულება სულ უფრო მწვავდება. მე გუშინდელ რეზოლუციასაც მოვიშველიებდი — ევროპარლამენტის მოთხოვნას, რომ რუსეთში ხელახლა ჩატარდეს არჩევნები. ასევე ძალიან გააქტიურებულია აშშ რუსეთთან მიმართებაში. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებები რუსეთში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ასე რომ, ამ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში ნამდვილად არ შედის ის, რომ სააკაშვილს დაუპირისპირდნენ და ამ დაპირისპირების შედეგად რუსეთმა რაღაც ქულები დაიწეროს.

***— თქვენ გამორიცხავთ, მაგრამ ფაქტია რუსეთის ფაქტორი არაერთხელ აღმოჩენილა სააკაშვილისთვის სასარგებლო.***

— რუსეთის ფაქტორს სააკაშვილი იყენებდა და იყენებს, ოღონდ სხვანაირად. ის ქვეყნაში ძალიან ზრდის დაძაბულობას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს აქვს სერიოზული აგრესია, რუსეთიდან მოსალოდნელია საფრთხე და ამ გზით ერის და საზოგადოების კონსოლიდაციას ახდენს.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილი ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება? ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლება არჩევნებს დანიშნავს მანამ, სანამ ივანიშვილს მოქალაქეობა არ აქვს და სანამ ის პარტიას შექმნის. რა გზა რჩება სააკაშვილს, რომ მისთვის სასურველი ნაბიჯები გადადგას?***

— მე გამოვრიცხავ ვადამდელ არჩევნებს რამდენიმე მიზეზის გამო. მოგეხსენებათ, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას დრო სჭირდება, რომ პარლამენტმა უარი უთხრას პრეზიდენტს მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადებაზე, თუ ამის საჭიროება დადგა, ან ჩაუგდო ბიუჯეტი და ბიუჯეტი უკვე დამტკიცდა, მოგეხსენებათ. ანდა ქვეყანაში უნდა იყოს სამოქალაქო დაპირისპირება, რომლითაც ისარგებლებს მიხეილ სააკაშვილი და დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს. რა თქმა უნდა, სააკაშვილის არც ერთი აწყობს, არც მეორე და არც მესამე. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ინგრევა მითი სააკაშვილის ძლევამოსილების შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში კარგად ხედავდით, რომ ნებისმიერ წინააღდეგობას — ოპოზიციის ძალიან სერიოზულ მიტინგებს, ქუჩაში გამოსულ უამრავ ადამიანს მიხეილ სააკაშვილმა დაუპირისპირა ის, რომ მონოლითურად შეიკრა მისი გუნდი და არც ერთი ადამიანი არ აღმოჩნდა, რომელიც ამ გუნდურობის პრინციპს დაარღვევდა. მან, პრინციპში, ყველა შემთხვევაში მიაღწია იმას, რომ ეს პრობლემები ისე მოაგვარა, რომ ქვეყანაში არც ერთი დაძაბულობის კერა არ შექმნილა. ამიტომ ბუნებრივია, ის ამ ნაბიჯს არ გადადგამს. სააკაშვილს ნამდვილად არ აწყობს, რომ მისი ძლევმოსილების მითი დაირღვეს. მე უფრო ვფიქრობ, რომ ის ყველანაირად ეცდება, არჩევნები ოქტომბერში ჩაატაროს და ეს ვადა არ გადასწიოს. ის ეცდება ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაცია მოახდინოს და არა მარტო ივანიშვილის, ზოგადად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაცია. აგრეთვე სააკაშვილი ეცდება, რაც შეიძლება ბევრი რამ გააკეთოს ხალხისთვის. თუნდაც ის 30– ლარიანი ვაუჩერების დარიგება, რომლის შესახებაც გვამცნო პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ, მიანიშნებს იმაზე, რომ ის სწორედ ამ გზით აპირებს პიარ-კამპანიის წარმართვას. ანუ მაქსიმალურად ხალხის ინტერესების გათვალისწინება და ოპოზიციის დისკრედიტაცია. ბუნებრივია, ხელისუფლება სულაც არ ფიქრობს იმასაც, რომ რაღაცა გზით არ მიაღწიოს არჩევნების დროს გაყალბებას. თუმცა ამის ანტიდოტი, ასე ვთქვათ, არის მოსახლეობის აქტივობა. ჩვენი, ოპოზიციური პარტიების მიზანი არის სწორედ ეს, რომ ეფექტურად გამოვიყენოთ ეს ანტიდოტი. იმიტომ, რომ თუ არჩევნებში მოდის მოსახლეობის უმრავლესობა, უფრო და უფრო ნაკლები ბერკეტი რჩება ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებისთვის. მე ვფიქრობ, ბოლოდროინდელი გამოკვლევები აჩვენებს, რომ არჩევნების მიმართ მოსახლეობის ინტერესი გაიზარდა. მე მგონი, დღეს აღარ დარჩა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომელიც არ გადმოვიდა „ახალი მემარჯვენეების" აზრზე, რომ ხელისუფლების ცვლილება ამ ქვეყანაში უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით და რევოლუციები კარგს არაფერს მოგვიტანს. მე ვფიქრობ, დღეს ყველა ერთხმად ლაპარაკობს, რომ სწორედ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. მოდით, პოლიტიკურმა პარტიებმაც და ყველამ გავაკეთოთ ის, რომ მობილიზება გავუკეთოთ არჩევნებში ქვეყნის მოსახლეობას. მით უმეტეს, მოსახლეობამ ამის იმპულსი უკვე გამოთქვა და გვიჩვენებს პოლიტიკოსებს, რომ ის მზად არის მოვიდეს არჩევნებში და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა.



მანანა ნაჭყებია

***— უკვე დღეს საუბრობენ გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებელზე და ასახელებენ^60-40. შეასძლოა ახალ პარლამენტში კონფიგურაცია ასეთი იყოს? რომელიც ძალების შეყვანაა პარლამენტში სააკაშვილის ინტერესებში?***

— ზოგადად, ერთი წელი პოლიტიკისთვის ძალიან ბევრია და მით უმეტეს, ბევრია საქართველოში. თუ ბოლო წლების მოვლენებს გავიხსენებთ დიდი სისწრაფით იცვლება ხოლმე ვითარება და სრულიად კარდინალურ სურათს ვიღებთ ხოლმე. ამიტომ თუ დღეს ვიღაცის რეიტინგი ძალიან მაღალია, ვიღაცის — დაბალი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოქტომბრამდე ეს რეიტინგები შენარჩუნდება. რა თქმა უნდა, რეიტინგები შეიცვლება. პოლიტიკური ვითარებაც და სიტუაციაც შეიცვლება. ვთქვათ, ივანიშვილის გამოჩენამდე ნაკლებად ვინმე ფიქრობდა, რომ საქართველოში კონკურენტული არჩევნები ჩატარდებოდა. მაგრამ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მე ვფიქრობ, ის, რომ ბოლო დროს ჩატარებულმა ორმა კვლევამ დაახლოებით ერთნაირი სიტუაცია აჩვენა ქვეყნად არსებული პრობლემების თვალსაზრისით, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული ვითარება აღწერა პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური ფიგურების რეიტინგებთან დაკავშირებით, მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი ძალიან მყიფეა და მოსახლეობა საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული. მე მგონი, არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაიწყებს მოსახლეობა ჩამოყალიბებას. ბევრი ჯერ არც ფიქრობს, ვის უნდა დაუჭიროს მხარი. შორიდან აკვირდება მოვლენებს. ამიტომ ჯერ ძალიან ადრეა რაიმეზე საუბარი. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს — ვისი შემოსვლა აწყობს მიხეილ სააკაშვილს პარლამენტში, ცხადია, ისეთი ოპოზიციის შესვლა აწყობს, რომელიც მისი მხრიდან მართვადი იქნება და პირველ რიგში, მხარს დაუჭერს მის გაპრემიერებას. მაგრამ დღევანდელ სიტუაციას და ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს თუ გადავხედავთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან ეს მოახერხოს. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელისუფლების მიერ მართვადად ითვლებიან, ვფიქრობ, მომავალ პარლამენტში ადგილს ვეღარ დაიკავებენ. რაც შეეხება რეალურ ოპოზიციურ ძალებს, ცხადია, სააკაშვილის დასაყრდენი ისინი პარლამენტში ვერ იქნებიან. ამიტომ ამ თვალსაზრისით სააკაშვილი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეცდება საკუთარი პოლიტიკური ძალა — ნაციონალური მოძრაობა წარმოაჩინოს ისე და ისეთი რაოდენობით შეიყვანოს პარლამენტში, რომ გარანტირებულად უწრუნველყოფილი ჰქონდეს პრემიერ-მინისტრობა. ამ შემთხვევაში მე იმ მოკავშირეებს, რომლებიც სააკაშვილს მომავალ პარლამენტში გამოადგება, რეალურ ოპოზიციურ სპექტრში და რეიტინგულ ოპოზიციურ სპექტრში ვერ ვხედავ. დღეს პრინციპში, ყველა მის მოწინააღმდეგედ განიხილება.



ირაკლი ალასანია

***— ქვეყნის გარეთ რამდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სააკაშვილი? ითქვა, რომ ის ბოლომდე ევრ გაერკვა, ამერიკას მისი ივანიშვილით ჩანაცვლება გადაწყვეტილი აქვს თუ არა.***

— არა მგონია, რომ ივანიშვილი აშშ-ის პროექტი იყოს და საერთოდ, ასეთი თეორიების მიმართ ძალიან ნიჰილისტურად ვარ განწყობილი. ქვეყნის მომავალი ლიდერი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობაზე. ასე იყო შევარდნაძის მოსვლის დროსაც და სააკაშვილის მოსვლის დროსაც. ანუ ვინ იქნებოდა ქვეყნის პირველი პირი, ამას ყოველთვის საქართველოს მოსახლეობა წყვეტდა და ვფიქრობ, ახლაც ის გადაწყვეტს. უბრალოდ, ერთი რამ შეიძლება მართლაც ითქვას, რომ იმის გამო, რომ პუტინი გამოვიდა ასპარეზზე და იმის გამო, რომ მან უკვე გამოავლინა რუსეთის „ველიკო დერჟავული" მისწრაფებები, ცხადია, დასავლეთი თავს შეიკავებს, რომ საქართველოში იხილოს და ისურვოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მყიფე პოზიცია ექნება რუსეთთან მიმართებაში და მას, რა თქმა უნდა, გამოკვეთილად დასავლური მიმართულების პოლიტიკური ძალები აწყობს. მაგრამ ერთი რამ ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ დასავლეთის მზადყოფნა, რომ 2012 წლის არჩევნებს უფრო მკაფიოდ დააკვირდეს და მკაფიო შეფასებები გააკეთოს, თუკი დარღვევებით წარიმართება ეს არჩევნები, ნათელია. არაერთი განცხადება გაკეთდა ამასთან დაკავშირებით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოგეხსენებათ, დავით გამყრელიძე ბოლო დროს ევროპაში იყო წასული და ხვდებოდა ევროპელ ლიდერებს და პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი აშშ-ის ჩათვლით, ძალიან სერიოზულად დააკვირდება ამ საპარლამენტო არჩევნებს. ღიად არის ლაპარაკი უკვე იმაზე, რომ 2012 წლის არჩევნები იქნება ძალიან სერიოზული ნიშნული ქვეყნის ცხოვრებაში. სააკაშვილი ან დაამტკიცებს, რომ დემოკტრატიული არჩევნები ჩაატარა, ან აბსოლუტურად დაკარგავს ნდობას დასავლეთიდან. დღეს მე ვერ ვიტყვი, რომ დასავლეთს რაიმე წინააღმდეგობა ჰქონდეს მიხეილ სააკაშვილთან.

***— როგირ იქნება არჩევნები დემოკრატიული, როცა უკვე არსებობს პრეტენზიები საარჩევნო კანონმდებლობის მიმართ?***

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ის შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, თუ ბოლომდე იქნება ასახული კანონმდებლობაში ყველაფერი, რაც ამ შეთანხმებაშია ჩაწერილი, გარკვეულ გარანტიას იძლევა იმისას, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი ჩატარდება. კიდევ ერთი მომენტი: ის, რომ მოსახლეობამ დაინახა, არჩევნები შეიძლება იყოს კონკურენტული პირველად ბოლო წლების მანძილზე, საზოგადოების ინტერესი არჩევნების მიმართ იქნება. ჩვენ დღეს გავავრცელეთ განცხადება ,,ირაკლი ალასანია ღია კარს ამტვრევს" და მინდა გითხრათ, რომ ის, რაზეც ალასანია ბოლო პერიოდში საუბრობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ბერკეტები გადავუკეტოთ ხელისუფლებას და მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც ამას გააკონტროლებს. ასევე გააკონტროლებს პოლიტიკური ზეწოლის ფაქტებს და რეაგირებას მოახდენს მასზე; და მეორე, აუცილებელია მონიტორინგი ჩატარდეს ტელემაუწყებელზე, ეს ყველაფერი ჩაწერილია შეთანხმებაში და დარწმუნებული ვარ, რომ გადავა საარჩევნო კანონმდებლობაში. ამიტომ თუ დღეს ირაკლი ალასანია და სხვა პოლიტიკური ძალები, რომლებიც თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ამის გაკეთება, მაშინ ის შეთანხმებაც მნიშვნელოვანი ყოფილა და ახლები სწორად გამიზნულად ვდგამდით ამ ნაბიჯს. მივაღწიეთ, რომ ხელისუფლებასთან ჩაწერილიყო ის, რაც არჩევნებს სამართლიანად ჩაატარებს. კიდევ რამდენიმე თვეა საჭირო, რომ ყველამ დაინახოს, რასაც ჩვენ მივაღწიეთ ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, არის ის საშუალება, რომ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. მთავარია ხელისუფლებამ შეთანხმების პირობები დაიცვას. თუ ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის, ამაზე ძალიან მწვავე რეაქცია იქნება.

***— რაზე მიანიშნებთ, ირაკლი ალასანია სხვა ოპოზიციონერების დამსახურების მიწერას ცდილობს?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ არანაირი ანტაგონისტური დამოკიდებულება არა გვაქვს არც ალასანიასთან და არც სხვა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან. მაგრამ სწორი არ არის ის, რაც უკვე მიღწეულია და ჩაწერილია დოკუმენტში საკუთარ თავს მიაწერო.

# კიწმარიშვილი დიმიტრი გაბუნიას პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს

ტელეკომპანია „მაესტროს" მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს" დამფუძნებლების ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას გუშინდელ პრესკონფერენციას გამოეხმაურა და ის პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში დაადანაშაულა.

„ბატონი დიმიტრი იურისტი და ადვოკატია თუ პოლიტიკოსი? რატომ აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს ადამიანი, რომელიც მხოლოდ იურიდიულ ასპექტებზე უნდა იყოს კონცენტრირებული? დიმიტრის ძალიან ვთხოვ, მიხედოს თავისივე აბურდულ იურიდიულ დოკუმენტაციას და შეეცადოს კვალიფიკაცია აიმაღლოს ამ თემაში; რაც შეეხება პოლიტიკური ხასიათის განცხადებებს, ეს მისი კომპეტენცია ნამდვილად არ არის", — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" ეროსი კიწმარიშვილმა.

რაც შეეხება ჟურნალისტების მოთხოვნებს, კიწმარიშვილმა ხაზგსმით აღნიშნა, რომ დავა მართვის კომპანიასა და „მაესტროს" დამფუძნებლებს შორის გადატანილია სასამართლოში, ხოლო ყველა სხვა ასპექტი, მათ შორის, ჟურნალისტური ასპექტები, მისი მხრიდან არანაირი ხელშეშლის საგანს არ წარმოადგენს.

კიწმარიშვილის მტკიცებით, ჟურნალისტები დამფუძნებლების წაქეზებით არიან გაქცეული ტელევიზიიდან. მისი თქმით, ყველა მათგან აქვს საშუალება დაბრუნდეს და ჟურნალისტური საქმიანობა ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე განორციელოს. „მათი განცხადებები, რომელიც პირდაპირი მხარდაჭერაა „მაესტროს" დამფუძნებლების პოზიციის, სამართლებრივად სრულიად გაუმართლებელია", — დასძინა მან.

კიწმარიშვილის განცხადებით, თუკი ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებთ პრობლემის სათავე, ეს არის ერთ ადამიანში, ბიძინა ივანიშვილში, რომელმაც, მისივე მტკიცებით, ცდუნებასა და სიხარბეში შეიყვანა დამფუძნებლები. „ამ ადამიანმა ხელები დაიბანა, გვერდზე გაიწია, აურია გონება მათაც და დამფუძნებლებსაც, „მაესტროს" კრიზისით არ ვიცი რა ხეირი მიიღო მან ან საზოგადოებამ", — თქვა კიწმარიშვილმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მართვის კომპანიის მხრიდან არანაირი ხელშეშლა ჟურნალისტური საქმიანობისთვის არ მომხდარა, კომპანიას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს მათ წინააღმდეგ და ახლაც ადასტურებს დიდ პატივისცემას ჟურნალისტების მიმართ.

კიწმარიშვილის განცხადებით, მისი მთავარი მოთხოვნაა, შეწყდეს „მაესტროს" უკანონოდ მაუწყებლობა და აღდგეს კანონიერი მაუწყებლობა, რომელსაც ახორციელებს მართვის კომპანია სტუდია „მაესტროს" სახელით, ასევე, გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა, მათ შორის, დირექტორმა და რამდენიმე პროდიუსერმა დატოვონ „მაესტრო", ხოლო დანარჩენს შეუძლია თავისუფლად და სრული კომფორტის პირობებში დაუბრუნდეს სამუშაო ადგილს.

დიმიტრი გაბუნიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პოლიციამ „მაესტროს" საკუთრებაში არსებული ფართიდან „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის" ხელმძღვანელის, ეროსი კიწმარიშვილის გამოსახლებაზე უარი თქვა, რითაც დადასტურდა, რასაც „მაესტროს" დამფუძნებლები აქამდეც აცხადებდნენ — ეროსი კიწმარიშვილი ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ივანიშვილს რესპუბლიკელები გვერდში არ უნდა დაეყენებინა“

ქეთი ხომერიკი

**იგეგმება თუ არა ხელისუფლების ხავერდოვანი ჩანაცვლება-გადაბარება და მოგვევლინება თუ არა მომავალ პრეზიდენტად პაატა შევარდნაძე? ამ საკითხზე „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი ესაუბრა.**



გია ყრუაშვილი

**გია ყრუაშვილი:**

– უკვე 20 წელია, ფილმ „შერეკილების“ არ იყოს, საქართველოს მოსახლეობა ხან ერთი ხვრელიდან შევდივართ, ხან მეორიდან და, ამ ხვრელში წვალებისა და ძრომიალის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა უფრო და უფრო უბედურდება და უკან-უკან მიდის. ჯერ იყო და 90-იან წლებში შევარდნაძის კარზე დადიოდნენ საქართველოს მოღალატე წარმომადგენლები და იღებდნენ დირექტივებს, თუ როგორ დაემხოთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება. რატომღაც მაშინ არავის გასჩენია აზრი, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეგვეცვალა და შევარდნაძის მიერ დაფინანსებულმა 500-მა კბილებამდე შეიარაღებულმა ქართველმა რუსის ჯართან ერთად დაამხო კანონიერი ხელისუფლება და ხელისუფლების სათავეში შევარდნაძე მოიყვანა. ამის შემდეგ იმ ხალხმა, რომელიც შევარდნაძის ჩამოყვანაში აქტიურად მონაწილეობდა, თავისი საქმე შეასრულა და გარკვეულ მომენტამდე დაიძინა. შემდეგ კვლავ იმავე ხალხის გამოცოცხლება და გაღვიძება იყო საჭირო, გააღვიძეს კიდეც, აიყოლიეს მთელი საქართველო, ვითომ უსისხლოდ დაამხეს შევარდნაძე და ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს შევარდნაძის გერი – მიხეილ სააკაშვილი. შევარდნაძემ სააკაშვილის ხელით გააკეთა ყველა უბედურება, მას გააკეთებინა თავის მიერ დაწყებული საქმე. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანით მან გარკვეული პიარიც კი გაიკეთა – აი, მე რა კარგი ვიყავი და მიშა რა ცუდიაო. სინამდვილეში კი მან ეს ნაბიჯი შეგნებულად გადადგა. სანამ ეს თეთრ მელად წოდებული ედუარდი ცოცხალი იქნება, ვერ გაძღება ქართველების წამებით. ახლაც, როდესაც სააკაშვილის წასვლა გახდა საჭირო, ამ თეთრმა მელამ კვლავ გააღვიძა მიძინებული, დაქირავებული პუტჩისტები და სააკაშვილის შესაცვლელად დარაზმა.

***– რას გულისხმობთ?***

– გააღვიძეს ნაირა გელაშვილი, რესპუბლიკელები და ძმანი მათნი. მაშინ, როდესაც სააკაშვილმა გამოაცხადა ქალაქ ლაზიკას მშენებლობა და სულ შვეიცარიია აკერია პირზე, შვეიცარიის ქალაქ ლუზიანაში შევარდნაძის ვაჟმა, პაატა შევარდნაძემ, თავისი სახელობის ორგანიზაცია დააფუძნა და ლაზიკას მშენებლობასთან ერთად შეუდგა თავისი სახელობის ორგანიზაციის მშენებლობას. სულაც არ არის გამორიცხული, მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, საპრეზიდენტო კანდიდატად შესაძლოა სწორედ პაატა შევარდნაძე მოგვევლინოს.

***– გავრცელდა ინფორმაცია, პაატა შევარდნაძის კანდიდატურას ივანიშვილი წამოაყენებსო... ფიქრობთ, ეს სიმართლეა?***

– ივანიშვილს დიდ პატივს ვცემთ, რასაც ვერ გეტყვით მის გარემოცვაზე, კონკრეტულად – რესპუბლიკელებზე. ერთს გეტყვით, შევარდნაძემ გადადგომის შემდეგ გარანტიად სწორედ უსაფრთხოება და რამდენიმე წლის შემდეგ თავისი შვილის, პაატა შევარდნაძის გაპრეზიდენტება მიიღო. აი, ეს გახდა მისი გადადგომის ერთ-ერთი რეალური მიზეზი, რასაც ეს კაცი დღეს პიარად იყენებს, რომ ვითომდა მოერიდა სისხლის ღვრას საქართველოში. სასაცილოა ეს, რადგან შევარდნაძის კისერზეა უამრავი უბედურება და დღეს, რაც ამ ქვეყანას სჭირს, სწორედ მისი დამსახურებაა. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდო საქართველოს მოსახლეობას, ღირსეულ ქართველებს – ხელისუფლების პაატა შევარდნაძით ჩანაცვლების საშიშროება რეალურად არსებობს და არჩევანი იმის მიხედვით კი არ გავაკეთოთ, ვის რამდენი ფული აქვს, არამედ – ეროვნულ ძალებზე. კარგად დავფიქრდეთ, ხალხო. ყველას გთხოვთ, გავერთიანდეთ საქართველოს გადასარჩენად. საქართველომ ამ ხალხის წყალობით დაკარგა აფხაზეთი, შემდეგ – სამაჩაბლო, ახლა კარგავს თბილისს და ცოტა ხანში საქართველოდან აღარაფერი დარჩება. უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ერთ წრეზე სიარული. აქვე გეტყვით, რომ შევარდნაძის დაჟინებული ბრძანებით ის ავალებდა თავის ქვეშევრდომებს, დაეჩქარებინათ და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიეცათ ქართული გვარები სომხებისთვის, რაც, სულ მალე ვნახავთ, რა შედეგითაც დასრულდება. მიზანმიმართულად ნადგურდება ყველაფერი, მათ შორის, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები. სოფლის მეურნეობაც მიწასთანაა გასწორებული. თუ 90-იან წლებში ვაზი მთელ საქართველოში გაშენებული იყო 116 000 ჰა-ზე და მოდიოდა 600 000 ტონამდე ყურძენი, დღეს ეს 10-ჯერ შემცირდა. ასევე 10-ჯერ არის შემცირებული ხეხილისა და მარცვლეული კულტურის მოყვანა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს უმრავლესობა შიმშილით სულს ღაფავს. მოგეხსენებათ, ხელოვნურად დამშეული და გაუბედურებული ადამიანი ადვილი სამართავია. ესეც შევარდნაძის ხელობაა, რომელმაც თავის დაყრილ ქვირითს შეასწავლა და ისინიც კარგად იყენებენ ამ ყოველივეს.

***– ხალხმა არჩევანი ივანიშვილსა და მის გუნდზე არ უნდა გააკეთოს?***

– ივანიშვილს რესპუბლიკელები გვერდში არ უნდა დაეყენებინა. ვიმეორებ, ბატონ ბიძინას დიდ პატივს ვცემ. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, ჩემი დამოკიდებულება მათ მიმართ, ხედავთ, როგორიცაა. დღეს რატომღაც ყველას დაავიწყდა პოლიტპატიმრები, მართლმადიდებლობისთვის დაჭერილი ბიჭები, ქუჩაში დახვრეტილი ბავშვები და ამდენი გაუბედურებული ოჯახის ფონზე კრინტსაც არავინ ძრავს იმაზე, თუ რა უნდა მოეთხოვოს ამის ჩამდენ ხელისუფლებას, რაც იმას გაფიქრებინებს, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარება ერთი მოღალატიდან მეორეზე, რაც არაერთხელ მოხდა საქართველოში. ვისაც დეისაძის მიერ დაწერილი საიდუმლო სერობის პრეზენტაციაზე უნდა სიარული, გეიაღლუმების ჩატარება და მასში მონაწილეობის მიღება, კი ბატონო, ატარონ, მაგრამ ამ ყველაფრის მომხრე ადამიანები ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდნენ. ჩვენ წინ წარმოდგენილია რესპუბლიკური პარტია და ნაირა გელაშვილი, რომლებსაც მხოლოდ თენგიზ კიტოვანი და სიგუა აკლიათ. წინ არის ორი გზა – ბარაბასა და ილიას გზა. ნუ გავყიდით 30 ვერცხლად ქვეყანას, ჩვენს შვილებსა და მათ მომავალს.

# ცხინვალში რევოლუცია დაბრუნდა?

## ჯიოევა ხელისუფლებას ვადას 18 დეკემბრამდე აძლევს

**ოსური ოპოზიცია აღშფოთებულია. მათი ლიდერი ალა ჯიოევა კი თავს მოტყუებულად თვლის. და ხელისუფლებას სამაგიეროს გადახდით ემუქრება. სამაგიეროს გადახდას კი ის 18 დეკემბრიდან აპირებს. მანამდე იმედოვნებს, რომ ხელისყფლება გონზე მოვა და ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს. ეს ვალდებულებები კი ხელისუფლებამ 10 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე იკისრა. ნაწილობრივ პირობა შესრულდა. მაგალითისათვის კოკოითი წავიდა, პრეზიდენტის მოვალეობას კი ვადი,მ ბროვცევი ასრულებს.**

თეა მარხვაიძე

მასზე ოპოზიცია დიდ იმედებს ამყარებდა. ეგონათ, რომ ის ვიცე-პრემიერად ანატოლი ბარანკევიჩს დანიშნავდა. ეს ამბავი აღნიშნეს კიდევაც, მაგრამ ნაადრევად.

14 დეკემბერს ოპოზიციის ლიდერს ალა ჯიოევასა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ვადიმ ბროვცევს შორის შეხვედრა გაიმართა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯიოევამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მასსა და კრემლთან მიღწეულ შეთანხმებაში ანატოლი ბარანკევიჩის ვიცე-პრემიერად დანიშვნა შეთანხმებული იყო, ეს საკითხი მაინც ღიად რჩება. ამასთან ამ პუნქტის შეუსრულებლობა კრემლმა ბროვცევთან შეუთანხმებლობას მიაწერა.

– საქმე იმაშია, რომ ბატონმა ვინოკუროვმა ამ საკითხის ჩვენთან განხილვა ბროვცევს არ შეუთანხმა. ბარანკევიჩისათვის მთავრობაში ვაკანსია უბრალოდ არ არსებობს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ვადიმ ვლადიმეროვიჩი აუცილებლად მოძებნის რაიმე ბერკეტებს, რათა ანატოლი ბარანკევიჩის ენერგია სამხრეთ ოსეთის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, – განაცხადა ჯიოევამ.

ვადიმ ბროვცევმა ჟურნალისტებთან ურთიერთობას თავი აარიდა. და ცხადია არც კომენტარის გაკეთება ისურვა. ერი ინფორმაციული ვაკუუმისგან მისმა პრესსამსახურმა იხსნა.

მისმა პრესსამსახურმა სპეციალური პრეს-რელიზი გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ დისკუსია კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება საკადრო დანიშვნებს, პრესრელიზში აღნიშნულია, რომ კადრები ჩვენ გვჭირდება. ჩვენ ამჟამად სერიოზულად ვსწავლობთ საკადრო პოტენციალს. ვფიქრობთ, რომ პრიორიტეტი მაინც ადგილობრივ კადრებზე უბდა შევაჩეროთ.

საინტერესოა, რომ ამ განცხადებას ბროვცევი ავრცელებს. რომელიც სულაც არ არის ადგილობრივი კადრი. ის წარმოშობით ჩელიაბინსკიდან არის. და როგორც სჩანს თავი გენერალ ბარანკევიჩზე ოსად მიაჩნია.

ალა ჯიოევა ამის გამო შეშფოთებულია და ის მოსალოდნელ სისხლისღვრაზე აკეთებს განცხადებას. ის განსაკუთრებით პარლამენტის გადაწყვეტილებით არის შეწუხებული.

ოსური საინფორმაციო სააგენტო „რესის“ ცნობით, ოპოზიციის ლიდერმა ალა ჯიოევამ რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევსა და პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს მიმართვა გაუგზავნა.



თავის მიმართვაში ჯიოევა შეშფოთებას გამოთქვამს იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა ცხინვალის პარლამენტის მიერ იმ შეთანხმების ძირითადი პუნქტის შეუსრულებლობის გამო, რომლის შესრულების გარანტად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი იყო მივლენილი.

– შეთანხმების დარღვევას რესპუბლიკაში ვითარების აფეთქება შეიძლება მოყვეს. სისხლისღვრის რეალური საშიშროება არსებობს და ამაზე პასუხისმგებლობა ამ შეთანხმების შესრულების გარანტორს დაეკისრება. სამხრეთ ოსეთი შეიძლება სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდეს. გთხოვთ თქვენს სასწრაფო რეაგირებას, – საუბარია დოკუმენტში, რომელიც ჯიოევას შტაბის მიერ იქნა გავრცელებული.

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყბეტილება გუშინ საგანგებოდ გამართულ აქციაზეც გააპროტესტეს. მოგეხსენებათ, რომ აქაურმა პარლამენტმა თანამდებობიდან არ გაათავისუფლა გენპროკურორი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სააგენტო „რესის“ ცნობით ოპოზიციის ლიდერებმა თანამოაზრეებთან ერთად ცხინვალის ცენტრში ხანმოკლე საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეებმა პარლამენტს გადაწყვეტილება დაუგმეს. შემდეგ კი დაშლა გადაწყვიტეს. დაიშალნენ იმ მიზეზით, რომ მიტინგი სანქცირებული არ იყო.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სერგეი ზასეევის განცხადებით, ოპოზიცია მიტინგის გამართვის ნებართვას ოფიციალურად ითხოვს და თანხმობის მიღების შემდეგ, აქციას კვირას, 18 დეკემბერს გამართავს.

# „მაესტროს“ თანამშრომლები დღეს საპროტესტო აქციას გამართავენ

ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლები დღეს საპროტესტო აქციას გამართავენ.

აქციასთან დაკავშირებით „მაესტროს“ თანამშრომლებმა განცხადება გაავრცელეს, რომლის თანახმად: „მაესტროს“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ჟურნალისტებს დღემდე არ გვაძლევს სრულფასოვნად მუშაობის საშუალებას, რაც, პირველ რიგში, ჩვენი პროფესიული მოვალეობის ხელშეშლას წარმოადგენს. ჩვენ ვაცნობიერებთ იმ პასუხისმგებლობასაც, რომელიც გვაკისრია საზოგადოების წინაშე. საზოგადოება ჩვენგან ელის ინფორმაციას და ამ მოვლენების გამო ის ყველაზე მეტად ზარალდება. ბოლო დროს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, ამ მოვლენებს კიდევ უფრო ართულებს. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის 7 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მიერ „რუსთავის მედიის მართვის“ დამფუძნებლის ეროსი კიწმარიშვილის მიმართ გაკეთებული გაფრთხილება, რომ მან დაუყონებლივ დატოვოს „მაესტროს“ ტერიტორია, დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი. „მაესტროს“ მესაკუთრეების მოთხოვნაზე, რომ სასამართლოში განხილვების დასრულებამდე „რუსთავის მედიის მართვის კომპანიას“ აეკრძალოს ყოველგვარი ქმედება „მაესტროს“ სახელით, საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. საზოგადოებას კარგად ახსოვს და აქვს მაგალითები, თუ რა პრობლემები შექმნია დამოუკიდებელ მედიას. ჩვენთვის მთავარია, აღდგეს „მაესტროს“ სრულფასოვანი მაუწყებლობა და დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი ინტერესი, თუმცა მიმდინარე ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, „მაესტროს“ მაუწყებლობას გარკვეული პრობლემები შეექმნას. ასე რომ არ მოხდეს, სათანადო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ კანონით ნაკისრი ვალდებულებები.

საზოგადოებამ ერთხელ უკვე დაკარგა „იმედი“. საზოგადოებამ არ უნდა დაკარგოს „მაესტრო“. ამისთვის, ჩვენ მზად ვართ, ვიბრძოლოთ, როგორც ჩვენი საქმით, ასევე საპროტესტო აქციების ფორმით. ჩვენ ჟურნალისტური სოლიდარობის იმედი გვაქვს, რადგან სწორედ ამ სოლიდარობამ რეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით პირველი სერიოზული შედეგი გამოიღო“,– ნათქვამია ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლების განცხადებაში.

პრაიმ–ნიუსი

# გრიგოლ ვაშაძე: ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კანონმა შეუწყვიტა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არა საქართველოს ხელისუფლებამ, არამედ კანონმა შეუწყვიტა, რადგან საქართველოს მოქალაქეობის შემდეგ იგი კიდევ სხვა ქვეყნის მოქალაქეც გახდა.



ამის შესახებ ვაშაძემ ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“ რუსული ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი შეფასებით, ივანიშვილს დეკლარირებული აქვს, რომ გადამწყვეტი საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება სურს, თუმცა ამის შემდეგ მისი გეგმები ბუნდოვანია.

პრაიმ–ნიუსი

# გელა ბეჟუაშვილი აზერბაიჯანს სტუმრობს

საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი გელა ბეჟუაშვილი აზერბაიჯანელი კოლეგის ელდარ მაჰმუდოვის მიწვევით ბაქოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

აზერბაიჯანული პრესის ინფორმაციით, მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

ასევე, განიხილეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული ვითარება, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, არალეგალური მიგრაცია და სხვა საკითხები.

გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ამ ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

მედიანიუსი

## ქუთაისში ედპ-ს იმერეთის რეგიონული კონფერენცია გაიმართება

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ დღეს, ქუთაისში, იმერეთის რეგიონულ კონფერენციას გამართავს.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, კონფერენციას დაესწრება ედპ-ს იმერეთის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციის 300-მდე დელეგატი.

ღონისძიებაზე პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ისაუბრებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, ედპ-ს პოლიტიკურ პოზიციაზე, ედპ-ს საგარეო და საშინაო ხედვებსა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე.

ედპ-ს განახლებულ ეკონომიკურ პროგრამას და ქვეყანაში მძიმე სოციალური ვითარების დაძლევის გზებზე პარტიის პოზიციას წარმოადგენს პარლამენტის წევრი, ედპ-ს ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩახვაძე.

როგორც პრესსამსახურში აღნიშნავენ, ედპ-მ წარმატებით დაასრულა საქართველოს მასშტაბით რეგიონული ორგანიზაციების განახლების პროცესი და ახალი ეტაპი დაიწყო.

პარტიის ლიდერები და აქტივისტები რეგიონის მოსახლეობასთან შეხვედრებს გამართავენ და მათ ედპ-ს განახლებულ ეკონომიკურ პროგრამას გააცნობენ, რომელიც მოიცავს დასაქმებას, სოფლის მეურნეობას, მცირე ბიზნესის განვითარებას და ყველა იმ სოციალურ საკითხებს, რომელიც მოსახლეობის პირველი რიგის პრობლემაა.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსთავის საკრებულომ 2012 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

რუსთავის საკრებულომ გუშინ 2012 წლის ბიუჯეტი 19 ხმით დაამტკიცა; სხდომას 20 დეპუტატი ესწრებოდა.

2012 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა მხოლოდ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ფიქრია ავალიანმა; ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ დანარჩენი სამი წევრი სხდომას არ ესწრებოდა.

როგორც ფიქრია ავალიანმა სხდომის მიმდინარეობისას განაცხადა, 2012 წლის ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტები 2011 წლის მსგავსად ინფრასტრუქტურული პროექტებია და ყურადღების მიღმა რჩება სოციალური სფერო.

მისივე განმარტებით, რუსთავის 2012 წლის ბიუჯეტი სოციალურად დაუცველ ფენაზე არ არის ორიენტირებული, ვინაიდან სოციალური პროექტებისათვის განკუთვნილი თანხები გაზრდილი არ არის.

2012 წლის რუსთავის ბიუჯეტი 27 მლნ ლარამდეა. ძირითად პრიორიტეტებს ინფრასტრუქტურა, სოციალური, კულტურული და სპორტის სფეროები წარმოადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

## გამოცდების ეროვნული ცენტრი ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის პრეზენტაციას რეგიონებში გამართავს

გამოცდების ეროვნული ცენტრი ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის პრეზენტაციას საქართველოს რეგიონებში გამართავს.

მაია მიმინოშვილი და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცენტრის წარმომადგენლები ელექტრონული რეგისტრაციის სისტემასა და 2012 წლის გამოცდების სიახლეებს ზუგდიდის სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს გააცნობენ. შეხვედრა ხვალ, 15:30 საათზე, ზუგდიდის პირველ საჯარო სკოლაში გაიმართება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ქუთაისის სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს უკვე შეხვდა.

17 და 18 დეკემბერს კი შეხვედრებს ოზურგეთისა და ბათუმის სკოლების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გამართავს. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს, სადაც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მისთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის მიღების საშუალება აქვს.

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია მხოლოდ ელექტრონულად მოხდება. აპლიკანტები გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე უნდა დარეგისტრირდნენ.

სპეციალური სარეგისტრაციო სისტემა და დეტალური ინსტრუქციები ცენტრის ვებ-გვერდზე რეგისტრაციის პროცესის დაწყებისას განთავსდება.

2012 წლიდან აბიტურიენტებს არა 7, არამედ 20 ფაკულტეტის არჩევის შესაძლებლობა ექნებათ, შესაბამისად, გაუქმდება ე.წ. მეორადი ჩარიცხვები.

უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჩაბარების მსურველები განაცხადში აღარ უთითებენ პროფესიულ მიმართულებებს – აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ ზოგადი უნარების გამოცდას, პროფესიულ მიმართულებებს კი გამოცდის ჩაბარების შემდეგ აირჩევენ.

მომავალი წლიდან ორ სპეციალობაზე – სამედიცინოსა და იურიდიულზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარი გაიზრდება და სამ საგანში – 35%, ხოლო უცხოურ ენაში 30% გახდება.

უმაღლესი სასწავლებლები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგანს ე.წ. მაპროფილებელი მიმართულებიდან აირჩევენ.

**ინტერპრესნიუსი**

საამაყო ქუთაისელს!

**გია კოპალეიშვილს!**

გულოცავთ კაცურად განვლილი
60-წლიანი ცხოვრების იუბილეს,
გუსურვებთ ჯანმრთელობას,
ღვთის წყალობას ოჯახთან
და კეთილისმსურველებთან
ერთად.

**ახლობლები**



# ხელისუფლებამ ხალხის დაშინების ახალი ეტაპი დაიწყო

### ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან ათავისუფლებენ

ნათია ხურცილავა



***კოალიცია „არჩევანის თავისუფლებისათვის“ საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე იწყებს მონიტორინგს წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებსა და მედიის პრობლემებთან დაკავშირებით. კოალიციაში გაწევრიანებული ორგანიზაციების აზრით, საარჩევნო გარემოს მონიტორინგი უნდა დაიწყოს ახლა და არა არჩევნების ოფიციალური დანიშვნის შემდეგ.***

მონიტორინგში სამი თვის შედეგები შევიდა. კოალიცია „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები პირდაპირ თუ ირიბად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

– ამ მხრივ ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა ქართულ პოლიტიკაში ახალი სუბიექტის – ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ. მას შემდეგ, რაც ცნობილმა მილიარდერმა და მეცენატმა პარტიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, ხელისუფლებამ როგორც პირადად ივანიშვილის, ისე მისი მხარდამჭერების დევნა დაიწყო, – ნათქვამია კოალიციის ანგარიშში.

კოალიციის წევრების განცხადებით, მთელი საარჩევნო წლის განმავლობაში გააგრძელებს ამგვარი ფაქტების მონიტორინგს.

ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტები ანგარიშში ქრონოლოგიურად არის მოცემული.

– დაგვიგროვდა სერიოზული მასალები, რომლებიც, ჩვენი აზრით, დაკავშირებულია წინასაარჩევნო კამპანიასთან და პოლიტიკურ პროცესებთან. პოლიტიკური ცხოვრება რეალურად პასიურ ფაზაში იყო გადასული, შესაბამისად, არც აქტიურობა და არც რაიმე დარღვევის ფაქტებს არ ჰქონია ადგილი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე, ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს სერიოზული დარღვევები, განსაკუთრებით მისი გუნდისა და მხარდამჭერების წინააღმდეგ. არსებობს კონკრეტული დარღვევების სია, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ. ეს მასალები უკავშირდება არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, არამედ მისი მხარდამჭერებისა და პოლიტიკური პარტნიორების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

უჩა ნანუაშვილი დარღვევების კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს.

– სამწუხაროდ, უკვე დაიწყო ძალიან ბევრი ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა, განსაკუთრებით რეგიონებში. ჩვენ გვაქვს კონკრეტული სახელი და გვარი იმ ადამიანებისა, რომლებიც ბედავენ და აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. ეს ადამიანები განსხვავებული აზრის გამო იდევნებიან. ჩვენ გვაქვს დარღვევების ფაქტების სია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში. 11 ოქტომბერს თბილისში დააკავეს კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი, თამაზ თამაზაშვილი, რომელიც ივანიშვილის ფონდის დირექტორის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია. ამ საქმეში ბევრი კითხვის ნიშანია, რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ივანიშვილის პოლიტიკურ გააქტიურებასთან არის ეს საქმე კავშირში. სამსახურიდან გაათავისუფლეს ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელ ირაკლი ღარიბაშვილის მამა, ტარიელ ღარიბაშვილი. ასევე მოხდა „ქართუ ბანკზე“ თავდასხმა, კონკრეტულად – ინკასაციის მანქანაზე. გარდა ამისა, რამდენიმე ინციდენტი მოხდა ოქტომბერში. მაგალითად, დიჯეი ლევან მდინარაძის დაკავების ფაქტი, რომლის მიზეზი „ქართული ოცნების“ წარწერიანი მაისურის დარიგება იყო. გარდა ამისა, ივანიშვილის მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი რამდენიმე საათის განმავლობაში იყო დაკავებული. მას რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიის დატოვება ჰქონდა აკრძალული. ასევე სერიოზული დარღვევების ფაქტები ფიქსირდება რეგიონებში, – ამბობს ნანუაშვილი.

კოალიციის წარმომადგენელი რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობს.

– ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ზაქარია ქინქლაძეს დაქირავებული ფართის დაცლა მოსთხოვეს. გარდა ბიძინა ივანიშვილის მომხრეებისა, სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა, რომლებიც უკავშირდება თავისუფალი დემოკრატების საქმიანობას. ასევე დარღვევებია მათი წევრებისა და მხარდამჭერების წინააღმდეგ. ასევე დაკავებულია ბიძინა ივანიშვილის დისშვილის მეგობარი ზაზა კობახიძე. პრობლემები შეექმნა საქველმოქმედო სამშენებლო ორგანიზაციას „არტუს“ საბაჟოზე ტვირთის შემოტანის დროს. ასევე პრობლემები იყო თავისუფალი დემოკრატების ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელ იზო სართანიას მიმართ. 8 ნოემბერს თავისუფალი დემოკრატების გორის რაიონის აქტივისტი დიანა მარიამიძე იმყოფებოდა ზეწოლის ქვეშ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან. გარდა ამისა, ადამიანის უფლების დარღვევის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა საჩხერეში. საჩხერის პოლიციის უფროსი ბახტურიძე და რამდენიმე თანამშრომელი იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან ბოლო ერთი თვის მანძილზე, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ანგარიშში მოხვდა საჩხერის რაიონ სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის დირექტორ ნუკრი გოგატიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი. წყაროს ინფორმაციით, გოგატიშვილმა ერთ-ერთ სუფრაზე ივანიშვილის სადღეგრძელო დალია.

ანგარიშში საუბარია თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას მოსახლეობასთან შეხვედრებისას პარტიის რაიონული ორგანიზაციების წევრებსა და მხარდამჭერებზე განხორციელებულ ზეწოლაზე და თვალთვალზე.

ანგარიშში მითითებულია მანქანების სერია და ნომრები, საიდანაც, მათი ინფორმაციით, თვალთვალი ხორციელდებოდა.

კოალიციის ინფორმაციით, თავისუფალმა დემოკრატებმა გამოძიების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს, თუმცა არც ერთ ფაქტზე რეაგირება არ მომხდარა.

კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, ხდება პედაგოგების სკოლიდან გათავისუფლება.

– პედაგოგები გაათავისუფლეს მხოლოდდამხოლოდ იმის გამო, რომ მათ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. ეს ადამიანები თავად აცხადებენ, რომ მათი გათავისუფლება მოხდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, მაგრამ, თუ დირექტორებს ვკითხავთ, ისინი აცხადებენ, რომ მათი გათავისუფლება მოხდა არაპროფესიონალიზმის გამო, – განაცხადა მაგდა პოპიაშვილმა.

კოალიციის წარმომადგენლებმა ყურადღება ქალაქის მასშტაბით პრესის გავრცელების ჯიხურების ფაქტებზე გაამახვილეს.

– ძალიან მნიშვნელოვანია, დინამიკაში დავინახოთ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად რამდენად გაიზრდება თუ შემცირდება მედიაზე, მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლა ქვეყანაში. მერიის პროექტ „1000 ჯიხურის“ აუქციონის შემდეგ გრძელდება პრესის ჯიხურის აღება. საბოლოოდ შეიძლება ზოგიერთი უბანი პრესის მომარაგების გარეშე დარჩეს და გართულდეს პრესის შეძენა მოქალაქეებისათვის. ეს თავისთავად სერიოზული დარტყმა იქნება პრესაზე, ასევე ეს გამოიწვევს მოქალაქეების არაინფორმირებულობას. ჩვენი ინფორმაციით, დღეის მონაცემებით, 46 საგაზეთო ჯიხურია აღებული. ეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში პრესის გავრცელების ალტერნატიული გზები არ არსებობს. არ არსებობს ფოსტის ინსტიტუტი, არც კურიერის ინსტიტუტი, – განაცხადა მაგდა პოპიაშვილმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოალიციამ შეხვედრის მოთხოვნით ქალაქის მერს მიმართა. თუმცა, მათი განცხადებით, დედაქალაქის მერიას პასუხი არ გაუცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წევრებმა სახალხო დამცველთან გამართეს შეხვედრა.

კოალიციის წევრებმა ასევე ისაუბრეს ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

რეგიონულ მედიასთან დაკავშირებით კოალიციის წევრმა ია მამალაძემ ისაუბრა.

– სხვადასხვა სახის პრობლემა გვხვდება, გახშირდა ჟურნალისტებზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტები. კვლავ პრობლემად რჩება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და მასთან დაკავშირებული სასამართლო დავები. კონკრეტული მაგალითები და ფაქტები გვაქვს. ჩვენ მუდმივად დავაკვირდებით 2012 წელსაც. ეს არ იქნება ზეპირი განცხადებები. რაც შეეხება ჟურნალისტებზე ზეწოლის კონკრეტულ ფაქტებს, ამ შემთხვევაში ძირითად დამრღვევად შსს გვევლინება. როდესაც ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა ხდებოდა, არც ერთ ფაქტს კონკრეტული რეაგირება არ მოჰყოლია. ადგილი ჰქონდა ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის მიმართ სიცოცხლის ხელყოფის მუქარას, რომელსაც მოჰყვა სახალხო დამცველის განცხადებაც, მაგრამ პროკურატურა დღემდე არ გამოხმაურებია. 14 ნოემბერს გურიაში ჟურნალისტ ნატო გოგელიას შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამმართველოს წარმომადგენლებმა გადაღება აუკრძალეს. მას ფიზიკური ძალის გამოყენებით დაატოვებინეს ადგილი და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. ამის ჩანაწერი არსებობს. პატრულის თანამშრომლები ჟურნალისტ იზა სალაყაიას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მას არ მისცეს მუშაობის გაგრძელების საშუალება. „გურია ნიუსის“ ჟურნალისტებს სამი პოლიციელი დაესხა თავს და გადაღებული კადრები წაუშალა. ეს საქმე გასაჯაროებული იყო, მაგრამ შესაბამისი უწყებიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ჟურნალისტ ლადო ბიჭაშვილის მიმართ მუქარის შემცველი მესიჯები იქნა გასაჯაროებული, მაგრამ რეაგირება არც მას მოჰყოლია, – განაცხადა ია მამალაძემ.

კოალიციის ანგარიშში ვრცელი ადგილი ეთმობა 26 მაისს ჟურნალისტებზე განხორციელებულ ზეწოლას, რომელზეც სასამართლო 26 დეკემბერს გამოიტანს გადაწყვეტილებას.

კოალიციის ანგარიშის პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

„არჩევანის თავისუფლებისათვის“ წარმომადგენლების განცხადებით, კოალიციის მიერ მოპოვებული მასალები რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

შედით საიტზე atb.ge

# კულტურის სამინისტრომ წიგნების პრეზენტაცია გამართა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა გრიგოლ ტატიშვილის 4 წიგნის რეპრინტის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა.

როგორც პრეზენატციაზე ითქვა, გრიგოლ ტატიშვილის წიგნების რეპრინტები და ოთხივე წიგნის ელექტრონული ვერსიები, საშუალებას იძლევა გრაფიკული დიზაინის მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ქართული კულტურით დაინტერესებული პირებისათვის და სპეციალისტებისათვის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. შრიფტებისა და ორნამენტების გამოყენება შესაძლებელია დიზაინის სხვადასხვა სფეროებში – მოდის ინდუსტრიაში, ინტერიერის დიზაინში, კერამიკაში, ტექსტილში, პოლიგრაფიაში.

ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:

– ეს არის შრიფტები, მონოგრამები, ცალკეული ასოები, საქარგავი მასალები, რომლებიც გრიგოლ ტატიშვილმა მოამზადა მაშინ, როდესაც ქართულ ენას სერიოზულად ებრძოდა იმპერია. გრიგოლ ტატიშვილი არის კაცი, რომელმაც გააფორმა „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „ჯეჯილი“. ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის არის უნიკალური ნიჭის პატრონი. მიხარია, რომ ეს ყველაფერი დღეს თავიდან დაიბადა დ დაიბეჭდა.

– რა არის ამ პროექტის მიზანი?

– პროექტის მიზანია გრიგოლ ტატიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტებისათვის გაცნობა, ასევე მისი შრიფტის „ჩონჩხი“ ციფრული ვარიანტის შექმნა და გავრცელება.

**მაია სუმბაძე, მხატვარი, პროექტის ავტორი:**

– XIX საუკუნის ქართული წიგნის ილუსტრაცია გრიგოლ ტატიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მხატვრული მოღვაწეობის პერიოდში, გრიგოლ ტატიშვილმა საქართველოში დაამკვიდრა ქსილოგრაფიის ტექნიკა, გააფორმა წიგნები, როგორც საკუთარი, ასევე სხვა მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრებით, შექმნა ქართული შრიფტის არაერთი ნიმუში. გრიგოლ ტატიშვილის მიერ მხატვრულად არის გაფორმებული მრავალი წიგნი, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“, ჟურნალები „ნობათი“, „ჯეჯილი“ და „ნაკადული“. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს ქართული შრიფტის სხვადასხვა ვარიანტების – ჩართული ანბანი, თაიგული – შექმნა წარმოადგენს. ამ ადამიანის მიერ არის შექმნილი ისეთი პოლიგრაფიული შრიფტები, როგორიცაა იაკობ გოგებაშვილის შეკვეთით შესრულებული „დედაენის გარნიტურის კეგლი 24“, თხელი შრიფტი „ჩონჩხი“, „საафიშო შრიფტები“. გრიგოლ ტატიშვილის შემოქმედების მწვერვალად ითვლება 1888 წელს ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხვისტყაოსანის“ მხატვრული გაფორმება.

*– რატომ მოგინდათ ამ პროექტის განხორციელება?*

– გრიგოლ ტატიშვილის ღვაწლი ანმდვილად დიდია. ამ პრეზენატციაზე ჩვენ წარვადგინეთ მისი ოთხი წიგნის რეპრინტები. როცა ვნახე მისი ნამუშევრები, ძალიან მომეწონა და ბუნებრივად მომინდა სხვებსაც ასევე მოწონებოდათ. ძალიან საჭირო და ძვირფასი მასალაა და მიმაჩნია, რომ ის მომავალმა თაობებმაც უნდა გაიცნონ.

გრიგოლ ტატიშვილის წიგნების წარდგენის შემდეგ, კულტურის სამინისტრომ და „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ“ შვედური წიგნების თარგმანების პრეზენტაცია მოაწყეს. პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას გამომცემლობის მესვეურებმა შესთავაზეს შვედეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩის დიანა იანსეს „ავღანური დღიურები“, რომელსაც ავტორისეული მინაზერიც აქვს – „ჩემი გულის ერთ ნაწილს აქ ვტოვებ“ და ინგმარ ბერგმანის „ლატერნა მაგიკა“. დიანა იანსე გასული წლიდან შვედეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩია საქართველოში. იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე შვედეთის სამეფოს საელჩოს წარმომადგენლად მუშაობდა ქაბულში. სწორედ ავღანეთში გატარებულ წლებს ეხება მისი წიგნი „ავღანური დღიურები“, რომე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ანსამბლი „ორერა“ 50 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გენო ნადირაშვილი (კონტრაბასი, საყვირი, ვოკალი), თემურ დავითაია (ბას გიტარა, ვოკალი), ნანი ბრეგვაძე (ვოკალი), ზურაბ იაშვილი (ორღანი, ვოკალი), თემურ მეღვინეთუხუცესი (ფორტეპიანო), ალექსანდრე მანჯგალაძე (საქსაფონი). იუბილარ ანსამბლს გამოშვებული აქვს მრავალი ალბომი, მასზე გადაღებულია მხატვრული ფილმი „ორერა სრული სვლით“. ამჟამად ანსამბლში უხუცესი წევრებიდან მხოლოდ გენო ნადირაშვილი და თეიმურაზ დავითაია არიან დარჩენილი. ნანი ბრეგვაძემ და ბუბა კიკაბიძემ სოლოკარიერა არჩიეს და დღემდე წარმატებით მოღვაწეობენ ქართულ ესტრადაზე.

„ორერას“ წევრები იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში მიიღო. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა სტუმრები დალოცა და ქართულ მუსიკალურ სფეროში მათ წვლილზე ისაუბრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ორერას“ წევრებმა კათოლიკოს-პატრიარქის საგალობლებიც მოისმინეს.

ანსამბლის წევრებმა მისი უწმინდესობა 20 დეკემბერს საიუბილეო კონცერტზე მიიწვიეს. ანსამბლის წევრები 20 დეკემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორი საათით მსმენელს ძველ დროში დააბრუნებენ.

ნანი ბრეგვაძე „ორერას“ გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ შეუერთდება. ქართველმა მომღერლებმა შუა აზიაში გასტროლი გამართეს, რომელშიც ჩართულები იყვნენ ეკა მამალაძე, ბუბა კიკაბიძე და ანსამბლი „ერისიონი“. კონცერტები ბიშკეკში, დუშანბეში და შუა აზიის სხვა ქალაქებში დაიგეგმა. ნანი ბრეგვაძემ სოლო კონცერტი ჩაატარა, მოეწყო გაერთიანებული საღამოებიც. ნანი ბრეგვაძის თქმით, ყირგიზეთში და შუა აზიის სხვა ქვეყნებში კონცერტი ბოლოს საბჭოთა კავშირის დროს გამართა.

ამჟამად კი ნანი ბრეგვაძე ახალგაზრდობას უბრუნდება და იმ წლებში გადავარდება, როდესაც „ორერას“ წევრი იყო. როგორც გენო ნადირაშვილმა გვითხრა, კონცერტისთვის უკვე ერთ თვეზე მეტია რეპეტიციობენ და მსმენელთან შესახვედრად განსაკუთრებით ემზადებიან.

**გენო ნადირაშვილი, „ორერას“ ხელმძღვანელი:**



– ჩვენს ანსამბლს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღს ჩვენ დიდი კონცერტით აღვნიშნავთ, რომელშიც „ორერას“ ყველა თაობა გაერთიანდებით და ჩვენთან ერთად ჩვენი კოლეგებიც იმღერებენ.

*– ვინ მიიღებს მონაწილეობას თქვენს საიუბილეო კონცერტში?*

– ჩვენი დედოფალი ნანი ბრეგვაძე გვიბრუნდება, ასევე თეიმურაზ დავითაია, გიორგი ძიძიგური, გიორგი წიკლაური, დავით მაღლაკელიძე, ზურა მირზიაშვილი და მე. გვეყოლებიან კიდევ სტუმრები – თემურ წიკლაური, მამუკა ონაშვილი, ჩვენივე კოლეგები მოგვილოცავენ იუბილეს.

*– ბუბა კიკაბიძე ვერ მოახერხებს ამ კონცერტში მონაწილეობას?*

– ბუბას უნდა დავურეკო ხვალ და გავიგებ, შეძლებს თუ არა მონაწილეობის მიღებას. მგონი, გასტროლზეა და თუკი აქ იქნა, აუცილებლად ჩვენ გვერდით იქნება.

*– დიდი ხანია ემზადებით ამ კონცერტისთვის?*

– დაახლოებით ერთი თვეა ვრეპეტიციობთ და მსმენელთან შესახვედრად ვემზადებით.

*– რა იქნება საიუბილეო პროგრამაში?*

– ის ძველი სიმღერები, რომლებიც ხალხს ახსოვს და უყვარს, თუმცა ახალ სიმღერებსაც შეასრულებენ „ორერას“ ახალი თაობის შემსრულებლები.

*– ბატონო გენო, ბევრია 50 წელი?*

– ძალიან ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით ვმღერით და ფორმაში ვართ. ჩემზე და თემურზე მაქვს ლაპარაკი, თორემ ნანი დედოფალია და ის ყოველთვის გამორჩეულია. ჩვენი ანსამბლის ახალი თაობის ბიჭებიც არაჩვეულებრივად მღერიან და ნამდვილად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად.

*– თქვენ გაქვთ ერთი სიმღერა – „ისევ ისე ბიჭი ვარ ხუჭუჭა, პატარა“. მართლა ისევ ის ბიჭები ხართ თუ შეგცვალათ წლებმა?*

– ვცდილობთ, ისევ ის ბიჭები ვიყოთ. მგონია, რომ ჯერჯერობით ვართ.

*– ჭაღარისა და ასაკის მიუხედავად?*

– კი, ჭაღარისა და ასაკის მიუხედავად. ხომ არიან ჩვენს ანსამბლში ახალგაზრდები, ისინი ნამდვილად არიან ხუჭუჭები და პატარა ბიჭები. მათ უნდა გააგრძელონ ჩვენი ტრადიციები და მათთან ერთად ჩვენც ვხუჭუჭობთ.

*– ბატონო გენო, თქვენს საიუბილეო კონცერტამდე საქართველოს პატრიარქს შეხვდით. ეს შეხვედრა თქვენი იუბილეს გამო შედგა?*

– ჩვენ ვუთხარით ჩვენს იუბილესთან დაკავშირებით მის უწმინდესობას. ჩვენი შეხვედრა მოხდა თან იუბილეს გამო და თან არც იუბილეს გამო. პატრიარქს ძალიან უნდოდა ჩვენთან შეხვედრა, ჩვენც გვქონდა მასთან სტუმრობის სურვილი და როგორც იქნა, შევხვდით. გაგიჟებულები ვართ იმით, რომ ძალიან ცოცხლად და გემრიელად მიგვიღო. დაგვაჯილდოვა თავისი წიგნებით, „ავე მარიას“ ფირფიტით, გაგვიკეთა ხელზე სამაჯურები „ღმერთმა დაგლოცოთ“ და სასწაული დღე გვქონდა ცხოვრებაში. იქიდან რომ გამოვედით, ვიგრძენით, რომ სულ სხვა პიროვნებები ვიყავით. ჩვენ პატრიარქი ჩვენს კონცერტზეც დავპატიჟეთ.

*– „ორერას“ სახელი უკავშირდება რობერტ ბარძიმაშვილს...*

– „ორერას“ დამფუძნებლები იყვნენ რობერტ ბარძიმაშვილი და ზურაბ იაშვილი. პირველ კვარტეტში, რომელსაც „ვაჟთა კვარტეტი“ ერქვა, მათთან ერთად იყვნენ თამაზ ფანჩვიძე და თეიმურაზ დავითაია. თემურ დავითაია 50 წელია შეუცვლელია. მე ცოტა გვიან მივედი, ორი წლით გვიან შევუერთდი ბიჭებს.

*– რას ელოდებით საიუბილეო კონცერტისგან?*

– მაყურებლის სითბოს. იმედი მაქვს, კარგად ჩავატარებთ ჩვენს კონცერტს. იქ ფილმებიდან ნაწყვეტები იქნება, ფოტოები იქნება წარმოდგენილი.

*– ვინ დგამს თქვენს კონცერტს?*

– რეჟისორია ნინო ლაპიაშვილი, პროდიუსერი – დავით ოქიტაშვილი. დღესაც გვაქვს რეპეტიცია, მთელი პროგრამა უნდა ჩავიაროთ, რაც კარგია, დავტოვოთ, რაც ზედმეტია – ამოვიღოთ, რაც გასასწორებელია – გავასწოროთ.

*– ბრძანეთ, ახალი სიმღერებიც გვაქვსო. ვინ წერს ახლა ორერასთვის სიმღერებს?*

– ვაჟა აზარაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი. საუბედუროდ, ჩვენი გოგი ცაბაძე აღარ არის, მას ჩვენს პირად კომპოზიტორს ეძახდნენ. ახლა ისეთი სიმღერებია, „ორერას“ არ ესადაგება. ჟანრობრივად შეიცვალა ქართული ესტრადა, რაც არ არის ჩვენი სტილი. ჩვენს ძველ სიმღერებს ისეთი ინტერპრეტაცია აქვთ, რომ შეიძლება ბევრს ეგონოს, თითქოს ახალ სიმღერებს ვასრულებთ.

*– ძველი კომპოზიტორების ერთგულები რჩებით?*

– რა თქმა უნდა. ჩვენ ჩვენი ხაზი გვაქვს და ჩვენს სტილს ვერ ვუღალატებთ. ჩვენს ტრადიციას არასოდეს გადავუხვევთ, იმიტომ, რომ ეს არის „ორერას“ ხელწერა.

*– „ორერას“ ვარსკვლავი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?*

– პირადად ჩემთვის ეს ნიშნავს ხალხის სიყვარულს, სითბოს, მთავრობის სიყვარულს, აღიარებას, დაფასებას. ეს ვარსკვლავი 2001 წელს გაიხსნა და უკვე 10 წელია ჩვენი ვარსკვლავია დიდი საკონცერტო დარბაზის წინ. წელს ორმაგი იუბილე გვაქვს – ანსამბლის შექმნიდან 50 წელი და ვარსკვლავის გახსნიდან – 10 წელი.

*– კონცერტი რამდენ ხანს გაგრძელდება?*

– ორ საათს. გაგვაფრთხილეს, რომ ორ საათზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს.

*– ძვირია ბილეთი?*

– არ ვიცი, ამ საკითხში არ ვერევი, მაგრამ ასე მითხრეს 15, 20 და 30 ლარი ღირს ბილეთებიო. ამ კონცერტს დედაქალაქის მერია ატარებს, ყველაფერი მერიამ აიღო თავის თავზე და ნაწილობრივ პროდიუსერმაც.


ჩვენს საყვარელ

ნინო მაღალაშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს,
სიყვარულს, ყოველივე საუკეთესოს
ოჯახთან ერთად. „ახალი თაობა“


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზურა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ბორჯომის ახალდაბაში 700კვ.მ. ნაკვეთი. სახლის პროექტით. ცალკე სახლი 25 კვ. ფართის ნაძვნარში. ფასი 7500 დოლარი. განვადებით შეიძლება. ტელ.: 790-56-48-75.

● ან იცვლება ხარაგაულის სოფ. ხორეშიდან თბილისის 200 კვ.მ ნაკვეთზე ან ძველ სახლზე. მაღალ ბელეტაჟზე, ფინურად დახურული სახლი, ბუხრით, ხეხილით, დიდი ეზოთი. ტელ.: 598-33-07-35.

● სოფ. სურამში 170 კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800 კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-45-58-19, 832-2-45-58-19, 595-62-82-22.

## განცხადებები

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება ოროთახიანი ბინა ყველანაირი ავეჯითა და საოჯახო ტექნიკით (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, წყლის ბაკი, გაზის გამათბობელი) ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183; 222-08-75.

# ზესტაფონმა დინამოს მასტერკლასი ჩაუტარა



### ზესტაფონი – დინამო 5:1

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი**

**1:0 გრიგალაშვილი (51), 2:0 გორგიაშვილი (59), 3:0 დვალი (70), 3:1 თექთურმანიძე (85), 4:1 ელიავა (88), 5:1 გელაშვილი (90პ)**

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, ონიანი, საჯაია (კობახიძე 75), ელიავა, ძარია (ბაბუნაშვილი 79), შ.გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, დვალი (ბენაშვილი 75), აფციაური, გელაშვილი

**დინამო**: ლორია, ოდიკაძე, ხოჭოლავა, გ.ზ.რეხვიაშვილი, ლომიძე, კვეკვესკირი, ალვარო, კოტო, ჯილაური (ნადირაძე 90), კახელიშვილი (თექთურმანიძე 69), ჩისკო

**გაძევება**: ლორია (90)

საქართველოს ჩემპიონატის წამყვანი გუნდების ჯახი სასიამოვნო სანახავი გადმოდგა. თუმცა, მხოლოდ მეორე ტაიმი და ისიც – ერთი გუნდის შესრულებით. პირველი ტაიმის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა ასეთ საბოლოო შედეგს.

მატჩის დასაწყისშივე სტუმრებმა უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქის კარსაც რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. უკვე მე-4 წუთზე ჯილაურმა გაისროლა შორიდან, მაგრამ კვასხვაძემ ბურთი მუშტებით კუთხურზე მოიგერია. ცოტა ხანში სტანდარტულის გათამაშების შემდეგ ზესტაფონელთა კარს კახელიშვილი დაემუქრა, მაგრამ ზესტაფონელთა მეკარემ ისევ მოიგერია ბურთი.

მასპინძლებმა სიტუაცია გამოასწორეს და თანდათან ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლნენ, თუმცა, მეტოქის კართან ხიფათი ვერაფრით შექმნეს. პირიქით, 21-ე წუთზე დინამოელთა სწრაფი კონტრშეტევა გაეპარათ – კოტომ მარცხენა ფლანგზე გარღვევაზე კახელიშვილი გაიყვანა, რომელმაც ბურთი შორეულ ძელთან მდგომი ჩისკოსაკენ გაგზავნა, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ ზესტაფონელები ხარიხამ გადაარჩინა.

მასპინძლები ისევ აკონტროლებდნენ ბურთს, მაგრამ დინამოელთა დაცვა და ნახევარდაცვა ძალიან დიდი ყურადღებით თამაშობდა. პარალელურად არც სწრაფ კონტრშეტევებს ერიდებოდნენ. 36-ე წუთზე ჯილაურმა ისევ შეაწუხა კვასხვაძე, რომელმაც გაჭირვებით მოიგერია – დამატებაზე კი ვერც ერთმა დინამოელმა ვერ ივარგა. ორიოდე წუთში ისევ ჯილაური დაემუქრა კარს, მაგრამ ამჯერად ააცილა.

ტაიმის მიწურულს მასპინძელთა პირველივე სერიოზული შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა – გრიგალაშვილ-დვალის კომბინაცია თავდამსხმელის ოდნავ არაზუსტი დარტყმით დასრულდა. არადა, ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა.

განადგურებას დინამოელებს არც მეორე ტაიმის დასაწყისი უქადდა. პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს. ჯერ ჯილაურმა, ხოლო შემდეგ კახელიშვილმა ააცილეს ბურთი კარს.

ყველაფერი 51-ე წუთზე შეიცვალა – ღონღაძემ მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში გაგზავნა, სადაც მრგვალ სფეროს გრიგალაშვილი დაუხვდა და ლორიას აუღებელი დაურტყა – 1:0.

მალევე გრიგალაშვილი დასარტყმელ პოზიციაზე უკვე გელაშვილმა გაიყვანა, რომლის ძლიერი დარტყმა ლორიამ უკუაგდო, მაგრამ დამატებაზე გორგიაშვილმა ივარგა და ანგარიში 2:0 გახდა.

„დინამოს“ 63-ე წუთზე ანგარიშის შემცირება მართებდა, როდესაც კვეკვესკირის პასის შემდეგ ჩისკომ დარტყმა ტექნიკასა და სიზუსტეზე გათვალა, მაგრამ მთლად ისე ვერა, თავად რომ სურდა.

ცოტა ხანში გელაშვილმა ლორიასთან პირისპირ დვალი დატოვა, რომელმაც დინამოელთა მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა და ანგარიში მეტოქისათვის გამანადგურებელი გახადა – 3:0. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

მართალია, 85-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა თექთურმანიძემ ოდიკაძის პასით პრესტიჟის გოლი გაიტანა, მაგრამ „დინამო“ იმდენად დემორალიზებული იყო, რომ დარჩენილ დროში კიდევ ორი ბურთი გაუშვა და გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა.

ძალიან ლამაზი იყო ზესტაფონელთა მეოთხე გოლიც. აქ შეცვლაზე აქტიურად შესული ბენაშვილის კარგი თამაში და გრიგალაშვილის შესანიშნავი გადაცემა უნდა გავიხსენოთ, რომლის შემდეგაც ელიავამ ლორიას შანსი აღარ დაუტოვა. სხვათა შორის, ეს უმაღლეს ლიგაში „ზესტაფონის“ საიუბილეო – მე-400 გოლი იყო. მასპინძლებმა ეს არ იკმარეს და ერთ წუთში გელაშვილმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აქცია გოლად – 5:1.

ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– პრინციპული თამაში გვქონდა და გამანადგურებელი ანგარიშით წავაგეთ. ძალიან ცუდი შედეგია, ხუთი გაშვებული გოლის მერე რა უნდა ვთქვა? პირველი ტაიმის შემდეგ ასეთ შედეგს არ ველოდით. ობიექტური ვიქნები და ვიტყვი, „ზესტაფონს“ ჩვენზე უკეთესი შემსრულებლები ჰყავს.

**გია ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– პირველი ტაიმიდან გამომდინარე ვერავინ ივარაუდებდა, რომ ეს შეხვედრა ასეთი ანგარიშით დასრულდებოდა. ბიჭებმა თავის თავში იპოვეს ძალა, უკეთ ათამაშდნენ და ლამაზი გამარჯვება მოიპოვეს.

### ტორპედო – მერანი 2:1

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი**

**1:0 გოცირიძე (8), 2:0 დოლიძე (13), 2:1 ტაპე (87).**

**გამოუყენებელი პენალტი**: მანწკავა (64)

**ტორპედო**: მიგინეიშვილი, გამეზარდაშვილი, ფოფხაძე, ს.თოდუა, გურული, დ.ბოლქვაძე, გ.დათუნაიშვილი, თარხნიშვილი (კუხიანიძე 82), დიღმელაშვილი, გოცირიძე (მეგრელაძე 88), დოლიძე (იოსელიანი 62)

**მერანი**: შეროზია, კაკუშაძე (მემარნიშვილი, 79), ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, დიდავა, მანწკავა, ე.გრიგალაშვილი, ამბროლაძე (ტორაძე, 57), ჩალაძე, ტაპე

**გაძევება**: გურული (63)

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ქუთაისელებმა თავიდანვე შტურმი მოუწყვეს მეტოქეს. მე-8 წუთზე დაჩი ფოფხაძის პასს საჯარიმოში რევაზ გოცირიძე დაუხვდა და ბურთი შეროზიას კარში გადაგზავნა.

მალევე თარხნიშვილმა მეტოქის შეტევა ჩაშალა, ბურთიანად საჯარიმოში მახვილი კუთხიდან შევიდა და პასიც გააკეთა, რომელსაც ყველაზე დროულად დოლიძე გამოეხმაურა და ანგარიშიც ორამდე გაიზარდა – 2:0.

ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, თამაში მაინც ქუთაისელთა კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ მეტი ბურთის გატანა პირველ ტაიმში არ მოხერხდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სათამაშო სცენარი არ შეცვლილა, მაგრამ 63-ე წუთზე მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. „ტორპედოს“ საჯარიმოში ჩალაძის წაქცევის გამო ხარიტონაშვილმა გურულს ყვითელი ბარათი უჩვენა, რომელსაც პირველ ნახევარში უკვე მიღებული ჰქონდა ანალოგიური გაფრთხილება და იგი მოედნიდან გააძევეს. პენალტის დასარტყმელად მარტვილელთა საუკეთესო ბომბარდირი მანწკავა მივიდა, რომლის დარტყმულს მიგინეიშვილი მშვენიერ ნახტომში მისწვდა და ბურთი მოიგერია. დამატებაზე ჯერ ტორაძე, ხოლო შემდეგ გრიგალაშვილი ცდილობდა გატანას, მაგრამ ორივე მათგანს მიგინეიშვილმა გატანა არ დააცალა. ამ და კიდევ რამდენიმე შემთხვევაში ქუთაისელთა მეკარემ შესანიშნავად იმოქმედა და თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან რამდენჯერმე იხსნა.

მარტვილელებმა იგრძნეს, რომ კაცნაკლული „ტორპედოსთვის“ ბურთის გატანა შეიძლებოდა და მძლავრად შეუტიეს, თუმცა, გოლს თავად გადაურჩნენ – შეროზიას კარს ზედიზედ ორჯერ გოცირიძე დაემუქრა – პირველად „მერანი“ მცველებმა გადაარჩინეს, ხოლო მეორედ ბურთი მიზანს ასცდა. მალე იოსელიანმაც გაისროლა მეტოქის კარისაკენ – ამჯერად ბურთი ძელმა აისხლიტა.

87-ე წუთზე კი მარტვილელებმა მაინც მოახერხეს გოლის გატანა – მარცხენა ფლანგიდან მანწკავას ჩაწოდებულ ბურთს ტაპემ ზუსტად შეურჩია ადგილი და მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნა – 2:1. ბოლო წუთებში საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

### დილა – კოლხეთი 0:0

**გორი. ქართლის სტადიონი**

**დილა**: შეყრილაძე, ვ.ხორგუაშვილი, ქარქუზაშვილი, ბაქრაძე, გველესიანი, ჯოჯუა, პ.ხორგუაშვილი (გ.თოდუა 85), რაჟამაშვილი (ნ.ნოზაძე 74), გოგინაშვილი, დ.ჩაგელიშვილი, ახალკაცი

**კოლხეთი**: ბობღიაშვილი, გ.კილასონია (გოგონაია 62), ლომაშვილი, ინწკირველი, მეგრელიშვილი, პ.დათუნაიშვილი, ცხადაია, გვალია, მდივნიშვილი (ლემონჯავა 68), ქებაძე, ციცხვაია (შავგულიძე 88)

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, მატჩს უპრინციპულესი ეთქმოდა. გუნდებს თანაბარი ქულები ჰქონდათ და მოგება სჭირდებოდათ, რათა საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი უფრო რეალურად ექციათ. უნდა ითქვას, რომ ამ შედეგით ორივე გუნდმა საქმე გაიუარესა. ახლა „დილაც“ და „კოლხეთიც“ 4 ქულით ჩამორჩებიან მე-8 პოზიციაზე მყოფ „სპარტაკს“.

### სპარტაკი – მეტალურგი 0:1 (0:0)

**ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი ბასა**

**0:1 რაზმაძე (90)**

**სპარტაკი**: ძაგანია, თიბილაშვილი, ტეტუნაშვილი, ბოიომო, ნ.მაისურაძე, შალამბერიძე, თ.შონია, კილასონია, შარაშენიძე (დ.გელაშვილი, 74), ჯიქია, მეტრეველი

**მეტალურგი**: ბედიაშვილი, გ.კვარაცხელია, გავაშელიშვილი, მახვილაძე, დობროვოლსკი, მიქაბერიძე, ქავთარაძე, გეწაძე (ჭედია 46), ირაკლი მაისურაძე, რაზმაძე, ტატანაშვილი (პავლიაშვილი 77)

შეხვედრა ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. თუ შესვენებამდე ბურთს „მეტალურგი“ აკონტროლებდა, მეორე ტაიმში ცხინვალელებმა თამაში გამოასწორეს და მეტოქეს ტოლსწორად ეპაექრებოდნენ, მაგრამ სტუმართა კარს რეალურად მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ და გოლიც თავად მიიღეს.

90-ე წუთზე „სპარტაკს“, წესით, სახიფათო შეტევა უნდა განეხორციელებინა, მაგრამ დავით გელაშვილი ცუდად გაისარჯა და „მეტალურგმა“ საპასუხო იერიში წამოიწყო, რომელიც ლუკა რაზმაძის შორიდან დარტყმით დასრულდა, ხოლო ბურთი ცხინვალელთა ფეხბურთელის ფეხიდან ძაგანიას კარში აღმოჩნდა.

### ვიტ ჯორჯია – სიონი 4:1

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

**1:0 ჩიმაკაძე (2), 2:0 ზაქრაძე (30), 3:0 ჩიმაკაძე (49), 4:0 ჩიმაკაძე (62), 4:1 კემუხტაშვილი (87)**

**ვიტ ჯორჯია**: ძაძამია, ხურცილავა, გოგიაშვილი, კასრაძე, ლანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ჩიმაკაძე, ზაქრაძე, კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ვასაძე

**სიონი**: ზუხბაია, ლ.ჩხეტიანი, გ.ოქროპირიძე, კობაური, სვანიძე, თარგამაძე, კაციტაძე (კემუხტაშვილი 46), გაბრიჭიძე, ვ.ბოლქვაძე, ქუცურუა (ალავიძე 60), გ.ჯ.რეხვიაშვილი (ხურციძე 72)

საპირველტაიმო უპირატესობა ვიტ ჯორჯიამ ორ გოლში ასახა – ბესიკ ჩიმაკაძესაც და ბექა ზაქრაძესაც საგოლე პასი გიორგი კორიფაძემ მიაწოდა.

სიონი მედგარი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. გამოსარჩევია გიორგი ქუცურუას დარტყმა, რომელიც გიორგი ძაძამიამ მოიგერია.

კორიფაძის დარტყმას ლადო ზუხბაია გადაელობა, გურამ გურეშიძემ საშუალო დისტანციიდან ვერ გაისწორა მიზანი – მოკლედ, ვიტ ჯორჯიას უპირატესობის გაზრდა შეეძლო.

მეორე ტაიმში მნიშვნელოვანწილად არაფერი შეცვლილა. ჩიმაკაძემ ჯერ კორიფაძის პასით გაიტანა, მერე კი დამატებაზე თავურით მიითვალა ჰეთ თრიკი. სიონელმა ლაშა კემუხტაშვილმა პრესტიჟის გოლი ვალერი ბოლქვაძის პასს მიაყოლა.

ვიტ ჯორჯიამ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 35:15 | 38 |
| 2.ტორპედო | 17 | 12 | 1 | 4 | 25:12 | 37 |
| 3.დინამო | 17 | 10 | 3 | 4 | 33:20 | 33 |
| 4.მეტალურგი | 17 | 8 | 5 | 4 | 21:18 | 29 |
| 5.მერანი | 16 | 8 | 2 | 6 | 20:18 | 26 |
| 6.ბაია | 17 | 7 | 2 | 8 | 18:19 | 23 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 17 | 6 | 5 | 6 | 21:21 | 23 |
| 8.სპარტაკი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:24 | 19 |
| 9.გაგრა | 17 | 5 | 3 | 9 | 17:23 | 18 |
| 10.დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 20:25 | 15 |
| 11.კოლხეთი | 17 | 3 | 6 | 8 | 14:24 | 15 |
| 12.სიონი | 17 | 1 | 4 | 12 | 11:32 | 7 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი), ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 9-9 ბურთი; გიორგი მანწკავა (მერანი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) – 7-7.

# ტევესი და პოდოლსკი ერთგულებას ამტკიცებენ

„მანჩესტერ სიტის“ 27 წლის თავდამსხმელი კარლოს ტევესი ევროპულ მედიას ხან „მილანში“ გადაჰყავს და ხანაც პსჟ-ში. თავად ფეხბურთელი კი, რომელიც გუნდს კვლავ ჩამოშორებულია და ტრანსფერზეა დაყენებული, აცხადებს, რომ მშობლიურ კლუბ „ბოკა ხუნიორსში“ დაბრუნება სურს.

– „მილანში“ გადასვლა? „ბოკა ხუნიორსში“ თამაში მინდა. ევროპაში მოგზაურობით დავიღალე. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ინგლისში არ დავბრუნდები. მზად ვარ, მშობლიურ კლუბთან ერთად კოპა ლიბერტადორესზე ვითამაშო და ამის სანაცვლოდ დიდ გასამრჯელოზეც უარს ვიტყოდი, – აცხადებს ფეხბურთელი.



ტევესი და პოდოლსკი

გერმანიაში კი არ წყდება საუბარი იმის შესახებ, რომ „შალკემ“ ლუკას პოდოლსკის გადაბირება მოისურვა.

პოდოლსკის „კიოლნთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და კლუბს ზამთარში მასთან ახალი ხელშეკრულების დადება სურს. თუ ეს არ მოხერხდა, „კიოლნი“ იძულებული გახდება, თავისი ლიდერი ზაფხულში გაყიდოს, რადგან შემდეგ ფეხბურთელს ნებისმიერ სხვა კლუბში გადასვლა უფასოდ შეეძლება.

– ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ბუნდესლიგის სხვა კლუბში გადავიდე. მეტიც: ეს, ფაქტობრივად, გამორიცხულია. არ მინდა, ვუღალატო გუნდს, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მომცა და, გარდა ამისა, ჩემი კარიერის ყველაზე რთულ პერიოდში ხელმეორედ შემიფარა. ასე რომ, თუ „კიოლნიდან“ წავალ, ალბათ მხოლოდ უცხოეთში გადავალ. დასამალი არაფერია, ძალიან ბევრი შემოთავაზება მაქვს, გადაწყვეტილების მიღებას კი არ ვჩქარობ. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მომავალი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდეს, – აცხადებს 26 წლის თავდამსხმელი.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-სტოკი | 3:1 |
| დინამო(კ)-მაკაბი(თ-ა) | 3:3 |
| ლაციო-სპორტინგი | 2:0 |
| პსჟ-ბილბაო | 4:2 |
| სლოვანი-ზალცბურგი | 2:3 |
| ანდერლეხტი-ლოკომოტივი | 5:3 |
| ვისლა-ტვენტე | 2:1 |
| მაკაბი(ხ)-შალკე | 0:3 |
| სტიაუა-ლარნაკა | 3:1 |
| ფულემი-ოდენსე | 2:2 |
| შტურმი-აეკი | 1:3 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| პადოვა-ტორინო | 1:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 0:4 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-გენჩლერი | 1:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა. ულების თასი**

| | |
|---|---|
| ცსკა-პანათინაიკოსი | 91:75 |
| გალათასარაი-ოლიმპია | 80:59 |
| ზაგრები-უნიკახა | 67:82 |
| მილანი-შარლერუა | 88:53 |

თორნიკე შენგელია: 4 ქულა, 2 მოხსნა

| | |
|---|---|
| რეალი-პარტიზანი | 101:83 |
| ლაბორალი-ნანსი | 90:55 |

**ხელბურთი**

**მსოფლიო თასი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-საფრანგეთი | 23:25 |
| დანია-ანგოლა | 28:23 |
| ნორვეგია-ხორვატია | 30:25 |
| ბრაზილია-ესპანეთი | 26:27 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| მინესოტა-ჩიკაგო | 3:3(0:1ბ) |
| ოტავა-ბოსტონი | 2:5 |
| ანაჰაიმი-ფინიქსი | 4:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

# პუტინი: „არ შეიძლება, ხალხს საქონელივით მოექცე“

**რუსეთის პრემიერმა მოსახლეობის კითხვებს უპასუხა. „საუბარი ვლადიმირ პუტინთან“ პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გადაიცემოდა. გთავაზობთ ამონარიდებს, რუსეთის „ნაციონალური ლიდერის“ საჯარო გამოსვლიდან. პუტინმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ზუსტად ასახავს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას ქვეყანაში:**



ვლადიმირ პუტინი

— საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდა, რის შესახებაც მე უკვე საჯაროდ გავაკეთე განცხადება. ეს შედეგები გამოხატავს თუ ვის უფრო ენდობა მოსახლეობა, ხელისუფლებას თუ ოპოზიციას. მიხედავად იმისა, რომ „ედინაია რასია“-მ დათმო თავისი პოზიციები, მაგრამ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

პრემიერი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ძალასთან დიალოგის პირობას დებს:

— თუ მოქალაქეები მე სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე – პრეზიდენტის პოსტზე ნდობას გამომიცხადებენ, მე, რა თქმა უნდა, მათთან ვიმუშავებ. ამას ისედაც ყოველთვის ვაკეთებდი სხვადასხვა ფრაქციებისა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

მთავრობის ხელმძღვანელი, რომელიც 2000-2008 წლებში პრეზიდენტის თანამდებობას უკვე იკავებდა, აცხადებს, რომ „აქამდე ეს მას საკმაოდ მარტივად გამოსდიოდა“:

— თუ ჩვენ ისეთი დადებითი სტაბილურობა გვსურს, რომლის შესახებაც მე ვსაუბრობდი, საჭიროა, ქვეყნის განვითარების შესახებ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვების ადამიანების აზრი და წინადადება მხედველობაში გვქონდეს. მე ასეც ვმოქმედებდი და ბუნებრივია, ასე გავაკეთებ.

პუტინი ბიზნესმენ მიხაილ პროხოროვს საპრეზიდენტო არჩევნებში „ღირსეულ და ძლიერ კანდიდატად“ მიიჩნევს:

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ღირსეული, ძლიერი კონკურენტი. არ მინდა, ვთქვა, რომ მას წარმატებებს ვუსურვებ, რადგან საკუთარი კანდიდატურის დაყენებასაც ვაპირებ.

რუსეთის მოქმედი პრემიერის აზრით, ფერადი რევოლუციები საზოგადოების დესტაბილიზების სქემაა. პუტინს ჰკითხეს, ხომ არ მიიჩნევს იგი მოსკოვში გამართული საპროტესო აქციების მონაწილეების მკლავზე შებმულ თეთრ ლენტებს ფერადი რევოლუციის სიმბოლოდ.

— ფერადი რევოლუციები საზოგადოების დესტაბილიზაციის სქემაა და ეს სქემა თავად არ ყალიბდება. უკრაინაში იყო ნარინჯისფერი რევოლუცია და მე მახსოვს, რომ ზოგი ჩვენი ოპონენტი იმ დროს უკრაინაში იყო და იუშჩენკოსთან ერთად მუშაობდა, – განაცხად პუტინმა.

მისივე თქმით, საპროტესტო აქციებზე გაისმოდა ხალხისათვის შეურაცხმყოფელი მოწოდებები – „ცხვრებო, წინ!“

„არ შეიძლება, ხალხს საქონელივით მოექცე. დაუშვებელია, ვინმეს დამცირების უფლება მისცე“, – განაცხადა პუტინმა.

მისივე განცხადებით, „რუსეთში გამართული აქციების მონაწილეებს ქუჩაში გასვლისთვის ფულს უხდიან“. თუმცა საიდან აქვს ასეთი ინფორმაცია, არ დაუკონკრეტებია.

ამასთან, პრემიერის თქმით, მან აქციის მონაწილეთა „თეთრი ლენტების არსი მაშინვე ვერ გაიგო და თავიდან შიდსთან ბრძოლის სიმბოლოდ ჩათვალა“:

— გულახდილად ვამბობ, როდესაც ეკრანზე დავინახე, რომ ზოგიერთებს მკერდზე თეთრი ლენტები ეკეთათ, ჩავთვალე, რომ ეს შიდსთან ბრძოლის პროპაგანდა იყო, ერთგვარი ბოდიში და კონტრაცეპტივი.

პუტინი „ისეთ დემოკრატიას“ აკრიტიკებს, „რომლის დროსაც მთელს მსოფლიოს უჩვენებენ, როგორ კლავენ კადაფის“. როგორც მან პირდაპირ ტელეეთერში განაცხადა, „ლიბიის რევოლუციის ექს-ლიდერი მუამარ კადაფი უცხოურმა უპილოტო თვითმფრინავებმა გაანადგურეს, ამერიკულის ჩათვლით“:

— მთელს მსოფლიოს უჩვენეს, როგორ კლავდნენ მას. ეს რა, დემოკრატიაა?! და ვინ გააკეთა ეს? – უპილოტო თვითმფრინავებმა, მათ შორის – ამერიკულმაც, რომლებმაც დარტყმა განახორციელეს მის კოლონაზე, შემდეგ კი სპეცრაზმის დახმარებით, რომელიც მაშინ იმ ტერიტორიაზე არ უნდა ყოფილიყო, ადგილზე ე.წ. ოპოზიციონერები და ბოევიკები მიათრიეს. ის სასამართლოსა და გამოძიების გარეშე გაანადგურეს.

რუსეთის პრემიერი დარწმუნებულია, რომ ამერიკელი სენატორის, ჯონ მაკკეინის მუქარა არა პირადად მისკენ, არამედ რუსეთისკენ არის მიმართული. პირდაპირი ეთერის დროს პუტინს ჰკითხეს მაკკეინის განცხადების თობაზე, რომელმაც რუსეთი ლიბიას შეადარა და თქვა, რომ კადაფის სიკვდილმა პუტინი უნდა შეაწუხოს.

— ეს ჩემს მიმართ არ არის ნათქვამი. ეს ნათქვამია რუსეთთან მიმართებაში. სურთ, რუსეთი ისე ჩააჩოჩონ, რომ დადემიწაზე ბატონობას ხელი არ შეუშალოს, – განაცხადა პუტინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნებს ამ დრომდე ეშინიათ რუსეთის ბირთვული პოტენციალის:

— როგორც ცნობილია, ბატონი მაკკეინი ვიეტნამში იბრძოდა. ვფიქრობ, მის ხელებზე მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლიც საკმარისად არის. მას ალბათ ეს ძალიან მოსწონს, ამ საზიზღარი სცენების გარეშე აღარ შეუძლია; აღარ შეუძლია კადაფისთან ანგარიშსწორების საშინელი კადრების გარეშე, როცა მთელი მსოფლიოს ეკრანებზე აჩვენეს, როგორ კლავენ მას. ეს არის დემოკრატია?

ამის შემდეგ პუტინი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ბოლომდე უნდა წარმართულიყო. მისივე თქმით, აუცილებელი იყო „თანამიმდევრულად, დაჟინებით და უშიშრად“ ბრძოლა საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგ და არაფრით არ შეიძლებოდა მისი დაშლა დაშვებულიყო.

— რას გავაკეთებდი? საჭირო იყო საბჭოთა კავშირში დროულად დაწყებულიყო ეკონომიკური გარდაქმნები და რეფორმები და დემოკრატიული წარმონაქმნებით გამყარებულიყო ქვეყანაში. საჭირო იყო თანამიმდევრულად, დაჟინებით, უშიშრად, ქვიშაში თავის ჩაურგველად გვებრძოლა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ რას გააკეთებდა იგი საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ხელისუფლების სათავეში რომ მდგარიყო.

თავის მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დსთ-ის ქვეყნების ყოფილი კოორდინატორის სტივენ სესტანოვიჩის შეფასებით, „რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი საკუთარი წარმატების მსხვერპლი გახდა, პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კი, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთში საპროტესტო განწყობების ზრდას შეუწყო ხელი“:

— პუტინს ბევრი რუსის ცხოვრების სტაბილიზაციის მიღწევა და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა გამოუვიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას უბრალოდ სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად აღარ განიხილავენ. ის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ 5 წლის წინ სურვილის საწინააღმდეგოდ პუტინის, როგორც პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობას აღიარებდნენ, ახლა თვლიან, რომ ის შესაძლოა, ქვეყნის განვითარებას უშლიდეს ხელს.

ამასთან, ბევრი რუსი დამკვირვებლის მსგავსად, სესტანოვიჩი დეკემბრის საპროტესტო გამოსვლებში საშუალო ფენის საკვანძო როლს აღნიშნავს და თვლის, რომ „ეს სოციალური ფენა ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, თავს უფრო თვითდაჯერებულად გრძნობს“:

— ადამიანებმა, რომლებიც ქუჩებში 1990-1991-იან წლებში გამოდიოდნენ, ბოლო 20 წლის განმავლობაში საპროტესტო აქციებში მონაწილეობის სურვილი დაკარგეს, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, კვლავ მზად არიან, ქუჩებში გავიდნენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი ლიბერალური, რეფორმატორული აზრების ცენტრები იყო, თუმცა მასობრივი მოძრაობები არ შეიმჩნეოდა. თუ ახლა სიტუაცია იცვლება, ეს ნამდვილად დიდი მოვლენაა რუსულ პოლიტიკაში.

სესტანოვიჩის აზრით, მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს პუტინის მხრიდან საზოგადოებისადმი „გულგრილობამ და თავხედობამ“ შეუწყო ხელი. ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად ექსპერტი პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ პრემიერ-მინის-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

დასაწყისი მე-8 გვერდზე

## კულტურის სამინისტრომ წიგნების პრეზენტაცია გამართა

ლიც შარშან იანვარში გამოიცა შვედეთში და ავტორს დიდი აღიარებაც მოუტანა.

გამოცემების პრეზენტაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში შედგა. პრეზენტაციაზე წარმოადგენილ იქნა სლაიდ-შოუ ავღანეთში გატარებული პერიოდის ამსახველი ფოტოებით, კადრები ინგმარ ბერგმანის ფილმებიდან და ნაწყვეტები მისი ინტერვიუდან, ისაუბრეს მთარგმნელებმა და მიწვეულმა სტუმრებმა.

— „ავღანური დღიურები“ ეს ჩემი ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია. ეს წიგნი ნაწილობრივ რეპორტაჟების კრებულია – დღიური. ჩემი მიზანი იმის გადმოცემაა, რასაც თავად ვხედავდი, განვიცდიდი, მესმოდა, ვგრძნობდი, ვფიქრობდი – მცირე ნაწილი იმისა, რასაც ავღანეთიდან წამოსვლიდან ორი წლის შემდეგაც კი გულით ვატარებ. ამ პერიოდმა ჩემი სამყარო უფრო დიდი და ღირებული გახადა და მოვლენების ჩემეული ხედვა, ჩემი სამუშაო, ჩემი მეგობრები და კავშირები რადიკალურად შეცვალა, – აცხადებს „ავღანური დღიურების“ ავტორი დიანა იანსე.

„ლატერნა მაგიკა“ სპეციალურად ქართველი მკითხველისთვის შვედურიდან ითარგმნა და პირველად გამოდის ქართულ ენაზე. მის ავტორებს იმედი აქვთ, რომ შვედი რეჟისორის მემუარული ჟანრის წიგნი ქართველ მკითხველში დიდ ინტერესს გამოიწვევს.

— თეატრისა და კინოს ცნობილი შვედი რეჟისორი, ინგმარ ბერგმანი, რომელიც არაერთი თეატრალური და კინოპრემიის ლაურეატია, მემუარული ჟანრის წიგნში „ლატერნა მაგიკა“ მკითხველს გულახდილად უამბობს თავისი უაღრესად საინტერესო და ვნებებით სავსე ცხოვრების შესახებ და დაწვრილებით იხსენებს ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი ფილმებისა თუ სპექტაკლების შექმნის დეტალებს. „წარსულის თითოეულ სურათს ლუპით ვაკვირდები და ვცდილობ, ჩემს ბუნდოვან გრძნობებში გავერკვე“ – ასე ახასიათებდა თავის განვლილ ცხოვრებას ინგმარ ბერგმანი, რომელმაც ნამდვილად დიდი კვალი დატოვა მსოფლიო კუტრულურ ხელოვნებაში, – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ წიგნების პრეზენტაციაზე.

## როგორია თქვენი კარიერული პერსპექტივები

ტესტი



***1. ხვალ უკვე შვებულებაში გადიხართ, ბევრი საქმე გაქვთ, შეფმა კი საჩქარო საქმე დაგავალათ. როგორ მოიქცევით:***

ა. მოითხოვთ, საქმე სხვას დაავალონ. ბ. გამგზავრებას რამდენიმე დღით გადადებთ. გ. მთელი ღამე იმუშავებთ და საქმეს მაინც გააკეთებთ.

***2. მაღალი ანაზღაურების ვაკანსიაზე რამდენიმე ადამიანი აცხადებს პრეტენზიას. როგორ მოიქცევით.***

ა. მშვიდად. ბ. თქვენ რეკლამა არ გჭირდებათ. გ. ყველას დაუმტკიცებთ, რომ სხვაზე უკეთესი ხართ.

***3. თქვენს მეუღლეს კლასიკური მუსიკა მოსწონს, თქვენ მსუბუქი. როგორ მორიგდებით.***

ა. მეუღლეს არ შეაწუხებთ. ბ. შეეცდებით შეიყვაროთ კლასიკური მუსიკა. გ. შეეეცდებით მეუღლეს მსუბუქი მუსიკა შეაყვაროთ.

***4. პოლიცია იმ დანაშაულის მოწმეს ეძებს, რომელსაც თქვენ შეესწარით. გამოცხადდებით თუ არა პოლიციაში.***

ა. არა. ბ. არა, რადგან არ იცით, ზუსტად რა მოხდა. გ. აუცილებლად.

***5. სასწრაფოდ უნდა დარეკოთ, ერთადერთ ავტომატთან კი რიგია. როგორ მიქცევით.***

ა. ინერვიულებთ, მაგრამ რიგში ჩადგებით. ბ. სთხოვთ რიგში მდგომთ წინ გაგატარონ. გ. ყურადღებას არავის მიაქცევთ და ყურმილს ხელს სტაცებთ.

***6. ქუჩაში ვიღაცას შეეჯახეთ. თქვენი რეაქცია:***

ა. არცთუ სახარბიელო კომპლიმენტით შეამკობთ. ბ. ცივად მოუხდით ბოდიშს. გ. „ხდება ხოლმე“

***7. კამპანიაში შეხვდით ადამიანს, რომელმაც დაგაინტერესათ. როგორ მოიქცევით:***

ა. თვითდინებით მიუშვებთ სიტუაციას. ბ. შეეცდებით დაუახლოვდეთ. გ. მაშინვე საუბარს გაუბამთ.

***პასუხები შეაფასეთ ა – 1 ქულა. ბ. 2 – ქულა. გ. 3 – ქულა.***

**7-10 ქულა**: კარიერაზე საერთოდ არ ფიქრობთ, ცდილობთ ყურადღება არ მიიქციოთ. სხვისი წარმატება და სახელი არ გშურთ.

**11-14 ქულა**: დროდადრო ოცნებობთ სამსახურში წარმატების მიღწევის, დაწინაურების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ოცნებობთ.

**15-18 ქულა**: სამსახურეობრივი მოვალეობები მძიმე ტვირთად არ მიგაჩნიათ. მუშაობა სიამოვნებას განიჭებთ, წარმატების მიღწევა მნიშვნელოვან მიზნად დაგისახავთ.

**19-21 ქულა**: პატივმოყვარე ოპტიმისტების რიცხვს განეკუთვნებით, ხართ კარგი ორგანიზატორი, ვინც კარგად იცის, რა სურს და რას უნდა მიაღწიოს.

## იუმორი



— ვერ გამიგია, ეს ოხერი ბუზები რა სულ მე დამტრიალებენ თავს...

— აბა, თუ მიხვდები

— მურაბასავით ტკბილი ვარ.

— რა ოპტიმისტი ხარ

* * *

— გამდიდრების ახალი მეთოდი აღმოვაჩინე.

— მომილოცავს, მაგრამ მე უკვე მესესხეთ ფულს...

* * *

— ამქვეყნად სულელები ბევრნი არ არიან, მაგრამ ისე ჭკვიანურად არიან განაწილებული, რომ ყველა ნაბიჯზე გხვდებიან...

* * *

— უფროსო, არ მომიპარავს, ვიპოვე!

— რა თქმა უნდა, იპოვე, მაგრამ მანამდე, სანამ პატრონი დაკარგავდა...

* * *

— კომპიუტერული თაგვი ღამღამობით მაგიდაზე პურის ნამცეცებს აგროვებს და კლავიატურაში ზამთრისათვის იმარაგებს...

* * *

— კატათაგვობანას თამაში მხოლოდ კატებს მოსწონთ...

* * *

პარკში ბაღზე ახალგაზრდა ვაჟი ზის, წამდაუწუმ საათზე იყურება. გვერდით მეორე მიუჯდა, ჩანთიდან ბუტერბროდები, თერმოსით ყავა ამოიღო და ეუბნება:

— გეტყობა, პირველად ხარ პაემანზე... **გ. თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. მდინარის ჩქერებიანი მონაკვეთი; 3. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 4. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 5. გაწმენდილი ნატეხი შაქარი; 6. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 7. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 17. კინემატოგრაფისტთა პრემია ესპანეთში; 18. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

**თარაზულად**: 1. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 3. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 8. საბადოდან ტორფის ამოსაღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა, დესპოტიზმი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 19. სომხური ცეკვა; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. სავაჭრო ობიექტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარჩვიბი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. „სალხინო“; 5. „მეეზოვე“; 10. ხონდრიტი; 11. ქსენოფილია; 12. ალიასკა; 15. ნეფერტიტი; 16. ჩხოუში; 17. გამპერი; 20. წრუტო.

**თარაზულად:** 6. საკანდელიძე; 7. „დამპერი“; 8. ბაიკერი; 9. „ლინატე“; 13. „ლელო“; 14. მსხალი; 18. „ჰართფილდი“; 19. კანიო; 21. გრილი; 22. ნიბლია; 23. ვირსალაძე; 24. „ერისიონი“.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ინსინუაცია; 2. ლუსონი; 3. თოფურია; 4. დიანა; 5. სუბიექტი; 6. ფიფქი; 7. „ბერმუხა“; 9. ისრიმი; 13. დიეზი; 17. ტუში; 18. ტბა.

**თარაზულად:** 1. იურმალა; 3. თავადი; 8. მულინე; 10. კონკური; 11. ანტრე; 12. მაკლერი; 14. „ტაიმსი“; 15. ყვირილა; 16. „ტატრა“; 19. ლოზანა; 20. ბავარია; 21. უწყისი.

# პარიზის სასამართლომ ჟაკ შირაკი დამნაშავედ ცნო


ჟაკ შირაკი

პარიზის სასამართლომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ფიქტიური სამუშაო ადგილების საქმეზე დამნაშავედ გამოაცხადა.

ეს გახმაურებული საქმე იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც შირაკი პარიზის მერიაში მუშაობდა.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, ექსპრეზიდენტი ასევე დამნაშავედ მიიჩნიეს საჯარო რესურსების გაფლანგვასა და ნდობის ბოროტად გამოყენებისთვის.

თუმცა, ის ციხეში არ ჩაჯდება – ექსპოლიტიკოსს ორწლიანი პირობითი სასჯელი და ერთი ევროს ოდენობით მიზერული ჯარიმა დააკისრეს, – იტყობინება „იტარტასი“.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურა საერთოდ საქმის დახურვას მოითხოვდა, მაგრამ სასამართლომ ყოფილი პრეზიდენტის ბრალი რამდენიმე პუნქტში დამტკიცებულად ჩათვალა – უფლებამოსილების გადამეტება, გაფლანგვა, ნდობის ბოროტად გამოყენება.

ხმაურიანი სასამართლო პროცესი 5 სექტემბერს დაიწყო. 79 წლის შირაკის გარდა ბრალდებულთა სკამზე კიდევ ათი ადამიანი აღმოჩნდა. მათ შორის მერის კაბინეტის ორი ყოფილი დირექტორია – მიშელ რუსენი და რემი შარდონი, ასევე პარლამენტის ექსდეპუტატი ჟან დე გოლი (გენერალ შარლ დე გოლის შვილიშვილი).

ბრალდების ვერსიით, საფრანგეთის დედაქალაქის მერობისას ჟაკ შირაკმა 28 ფიქტიური სამუშო ადგილი შექმნა, რომლებიც მის მიერ შექმნილი პარტიის, „გაერთიანება რესპუბლიკის მხარდასაჭერად“ მომხრეებს ერგებოდათ.

ამ მუშაკების „შრომა“ საქალაქო ბიუჯეტიან ფინანსდებოდა.

ხმაურიან საქმეზე სასამართლო პროცესი ჟაკ შირაკის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. რადგან, მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოსამართლის კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეეძლო. ექსპრეზიდენტი მეხსიერების ხარვეზებით და სხვა ნევროლოგიური ხასიათის პრობლემებით იტანჯება.

აღსანიშნავია, რომ „მკვდარი სულების“ სკანდალის მიუხედავად, ჟაკ შირაკი საფრანგეთში კვლავაც ძალიან პოპულარული ფიგურაა, რომლის რეიტინგიც, ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის რეიტინგს აჭარბებს.

ცნობისთვის, ჟაკ რენე შირაკი (დ. 29 ნოემბერი 1932, პარიზი) – ფრანგი პოლიტიკოსი.

1995-2007 წლებში იყო საფრანგეთის პრეზიდენტი და „ექს ოფიციო“ ანდორას კოპრინცი.

1977-1995 წლებში პარიზის მერი, 1974-1976 და 1986-1988 წლებში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## რომან (ბეღურა) ცერცვაძის გახსენება



სამი წელი შესრულდა, ძამიკო, რაც განგების ძალამ ერთმანეთს დაგვაშორა. სულ მიყვარდი, მეამაყებოდი და მეიმედებოდი. სიყვარულით ახლაც თავზე მეტად მიყვარხარ, ახლაც ვამაყობ შენით, მაგრამ იმედი? იმედი უსაშველოდ მონატრებამ შემიცვალა, იმედი იმისღა დამრჩენია, ძამიკო, რომ, როცა მაღალი ღმერთი ინებებს, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მანდ, დიდ სოფელში და შემდეგ სულ ერთად ვიქნებით, ხოლო ჩვენი შვილები ნამდვილი დედმამიშვილური სიყვარულით გააგრძელებენ ცხოვრებას და არასდროს დაგვივიწყებენ ჩვენ, ურთიერთმოსიყვარულე და-ძმას.

*შენი გულდამწვარი და – დალი ცერცვაძე-აბაშიძე*

---

თამაზ ხუბუა და დალილა ხორავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დედისა და დედამთილის

**ელენე მიქაია-ხუბუას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: კვირას, 18 დეკემბერს, 14 საათზე;
მისამართი: ქ.თბილისი, დიდუბის ქუჩა №20.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ ხუბუას დედის

**ელენე მიქაია-ხუბუას**

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თემურ ლორთქიფანიძეს დედის

**შურა გაფრინდაშვილი-ლორთქიფანიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაცია**

[illegible]

# პუტინი: „არ შეიძლება, ხალხს საქონელივით მოექცე“

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ტრის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ასახელებს.

– საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, რუსების 80% თვლის, რომ ხელისუფლება კორუმპირებულია. 75% ამბობს, რომ რუსეთში ნამდვილი ოპოზიციის ხილვას ისურვებდა. დასავლეთში ხშირად ამბობენ, რომ რუსებს დემოკრატია არ სჭირდებათ, თუმცა გამოკითხვები აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. ამ მონაცემების მიუხედავად, პუტინმა კორუფციასთან ბრძოლისა და რეალური პოლიტიკური კონკურენციის წახალისებისთვის ძალიან ცოტა გააკეთა.

ამასთან, სესტანოვიჩი თვლის, რომ საპროტესტო განწყობის ზრდას ხელი შეუწყო ასევე პრეზიდენტ მედვედევის მხრიდან წახალისებამ.

– ჩვენი მოსაზრება, რომ მედვედევი რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე ნახევრადკომიკური ფიგურაა, უსაფუძვლო არ არის, თუმცა ბოლო 5 წლის განმავლობაში იგი რაღაც უცნაური გზით რეფორმების ხმად და პუტინიზმის კრიტიკოსად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ პუტინი მისი საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელია, – განაცხადა სესტანოვიჩმა.

ამასთან, სტივენ სესტანოვიჩის განცხადებით, „რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის რეიტინგმა დაიწია, თუმცა ჯერ ადრეა იმის თქმა, რომ მას სასიკვდილო დარტყმა მიადგა“:

– „ეროვნული ლიდერის“ რეიტინგმა 70-80%-დან 30-40%-მდე დაიწია, თუმცა პუტინის პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნების პერსპექტივებზე საუბრისას ჯერჯერობით ძალიან ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ მას სასიკვდილო დარტყმა მიადგა.

მისივე აზრით, „პუტინმა შესაძლოა, ან ოპოზიციის მიზნებთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება სცადოს, ან პირიქით, განაცხადოს, რომ ოპოზიცია რუსეთის დესტაბილიზაციას ცდილობს და ქვეყნის კეთილდღეობას ემუქრება:

– ახლა ინტრიგა იმაში გამოიხატება, გამოუვა თუ არა პუტინს საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება. თუ იგი პირველ ტურში თუნდაც ხმების 50%-ს ვერ მიიღებს, ეს დიდი დამცირება იქნება. პუტინს საპრეზიდენტო არჩევნებში ბევრი კონკურენტი ეყოლება, რომლებიც პოტენციურად 10 ან მეტი პროცენტის მიმღებუნარიანნი იქნებიან და თუ მათ პროცენტებს გავაერთიანებთ, ნათელი ხდება, რომ პუტინის წინაშე რთული ამოცანა დგას. ეს ნიშნავს, რომ კანდიდატებზე ზეწოლა განხორციელდება და მათი არჩევნებზე დაუშვებლობის მცდელობა იქნება. ასევე გაგრძელდება ოპოზიციონერების დაფინანსების შეზღუდვის მცდელობები. პუტინმა შეძლებული რუსების მხრიდან ოპოზიციის დაფინანსების დაუშვებლობას მიაღწია. ვნახოთ, რამდენად წარმატებული იქნება ეს მცდელობები მომავალში, – აცხადებს სტივენ სესტანოვიჩი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

## პარასკევი 16 დეკემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** მაესტრო **15.00** სერ. **"ნიკიტა"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** ვინ არის ოლივერი **22.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** კავკასუს ლაივი **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"ვარდისფერი სიზმრები"** **02.40** მოამბე **03.00** მხ. ფილმი **"ჭეშმარიტი სახე"** (12) (ჯ. სპეიდერი) **05.00** მხ. ფილმი **"დიდი ღამე"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **13.00** **ძიუდო**. პეკინის გრან-პრი. ფინალები **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ.**"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** **01.00** მხ. ფილმი **"შიდა გამოძიება"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ.**"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ.**"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** შერეკილები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბიზნეს-ლიდერი (გან.) **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.40** ღამის შოუ (გან.) **02.05** მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"შიშის აჩრდილი"** (12) (მ. დევისი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ.**"სამყაროს შექმნა"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"კამელოტის ქალები"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.15** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 21.00** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **"ეს მაფიაა"** **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "ოვალური ბურთი" **11.00** მოკ. ფილმი **"მიხა"** **11.35** აქტუალური თემა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** მე-2ნ. **13.30** კონცერტი – ლ. ნემსაძე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** მხ. ფილმი **"ელენე, ტროას დედოფალი"** მე-2ნ. **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 დეკემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 16 დეკემბრისთვის**




**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5–9, ღამით — 0–2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15–20, ღამით — 9–14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -2–3, ღამით — -12 -1




# 14 დეკემბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

# „ახალგაზრდა სტალინი“

## საიმონ სებაგ მონტეფიორე

## ასტროპროგნოზი 16 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი**—არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესოდ წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ლომი** — ახალი საქმე მიგიზიდავთ, თავს კარგად გაართმევთ. **ქალწული** — სიმშვიდე შეინარჩუნეთ, არ აღელდეთ. **სასწორი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია დრო არ დაკარგოთ. **ღრიანკალი** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, საღამოს დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** — გზიდან ფულს მიიღებთ, რაც პრობლემას მოგიხსნით. **მერწყული** — არ მოდუნდეთ, ენერგია აღიდგინეთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ჩინური ფინიკი; 4. ფულის ერთეული მონღოლეთში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. სასიმღერო ხმა ქართულ ხალხურ სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის, სუფრის ქართული ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად**: 6. მე-13 საუკუნის მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 9. კომბინაცია პრეფერანსში; 13. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 14. პატიოსნება, სინდისი; 18. ხილის წვენებით, კარტოფილის ფქვილითა და შაქრით მომზადებული ტკბილეული; 19. აკვიატებული შიში; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. ალბანეთის დედაქალაქი; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ოლიმპიურმა კომიტეტმა წელი შეაჯამა



ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ კომიტეტის სესიაზე განვლილი წელი ფედერაციებთან ერთად შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. შეხვედრაზე, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები დავით ნამგალაური, გიორგი გალდავა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ასანიძეც ესწრებოდნენ, 2011 წელს გაწეული მუშაობის შეფასება და სხვადასხვა საკითხის განხილვა მოხდა.

სესიაზე განხილულ საკითხთა შორის იყო მნიშვნელოვანი ვიზიტები, სემინარები, კონფერენციები, მწვრთნელთა გადამზადების პროგრამები, „თბილისი-2015“-ის საორგანიზაციო საკითხები და, რაც ყველაზე მთავარია — „ლონდონი-2012“-ისთვის მზადების პროცესი და ოლიმპიური ლიცენზიები. ისაუბრეს მოახლოებულ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე და ოლიმპიადამდე სპორტის სხვადასხვა სახეობაში გასამართ სალიცენზიო ტურნირებზე.

გია ნაცვლიშვილი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

— ფედერაციებთან ერთად განვლილი წლის შესახებ ვისაუბრეთ, რომელიც ჩვენთვის ნორმალურად წარიმართა. გეგმის მიხედვით მივდივართ და იმედი გვაქვს, რომ ლიცენზიების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. მართალია, ჯერ მხოლოდ 10 საგზური გვაქვს, მაგრამ რამდენიმე ლიცენზიის საბოლოოდ გაფორმება მხოლოდ დროის ამბავია. ყველაზე ცუდ ვარიანტში 29-30 ლიცენზია უნდა მოვიპოვოთ, უკეთეს შემთხვევაში კი 33-34 ლიცენზიას ველით. მედლების რაოდენობის თვალსაზრისით 6 ან 8 მედლის მოპოვების ალბათობას განვიხილავთ, მედლების ხარისხზე კი ჯერ ვერ ვილაპარაკებ.

**მ. ჟ.**

# ანსამბლი „ორერა“ 50 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ანსამბლი „ორერა“ დაარსებიდან 50 წლის იუბილეს ზეიმობს. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, ანსამბლის წევრები ისევ ერთად შეიკრიბებიან და 20 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზულ კონცერტს გამართავენ.

როგორც ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა და ხელმძღვანელმა გენო ნადირაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, კონცერტის ორგანიზატორობა საკუთარ თავზე დედაქალაქის მერიამ აიღო. საღამოს პროდიუსერი კი დავით ოქიტაშვილია. საღამოზე მისული მსმენელი უამრავი სიურპრიზის მომსწრე გახდება. ძველ ორერელებთან ერთად სცენაზე ანსამბლის ახალი თაობაც იდგება. უკვე გადაწყვეტილია, რომ იუბილარ ანსამბლს კვლავ გვერდით დაუდგება ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე, ხოლო მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამ საღამოში ბუბა კიკაბიძე, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რადგან მომღერალი გასტროლზე იმყოფება და თუკი ჩამოსვლას მოასწრებს, იუბილარ კოლეგებს აუცილებლად შეუერთდება.

ლეგენდარული ჯგუფი „ორერა“ 1958 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა ოფიციალურ დაბადების თარიღად 1961 წელი ითვლება და მისი წარმატებები რობერტ ბარძიმაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. როგორც მუსიკათმცოდნეები განმარტავენ, „ორერა“ იყო პირველი ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში, რომლის რეპერტუარშიც შეტანილი იყო სიმღერები თითქმის ყველა ენაზე. ცნობილია, რომ ანსამბლს დაკრული აქვს ხუთივე კონტინენტზე და ნამყოფები არიან ასობით ქვეყანაში. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ ნახევარი სა-



უკუნის წინ მომღერლების რობერტ ბარძიმაშვილის, თეიმურაზ დავითაიას, ზურაბ იაშვილისა და თამაზ ფანჩვიძის თაოსნობით დაფუძნდა. 50-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში მათ რეპერტუარში არაერთი სიმღერა შეიქმნა. ორერას პირველ თაობაში გაერთიანებული იყვნენ რობერტ ბარძიმაშვილი (გიტარა, ვოკალი), ბუბა კიკაბიძე (დრამი, ვოკალი),

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**